საქართველოს „სოციალ-დემოკრატიული მუშათა“ პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 25 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 289 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 269

ღრმად დამწუხრებულნი; მამა, დეკანოზი ტატიანე ეგნატეს ძე მიქაძე, დაი კალენიკა ქიპიანისა, ბიძაშვილები: ბესარიონ, ირაკლი და სერაპიონ მიქაძენი, ქეთევან გაფრინდაშვილისა, მაკრინე ჯაფარიძისა, ნარო ჯაფარიძისა, პარასკევა ჯგუშიასი, ეკატერინე გუგუშვილისა და მაშო აბესაძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის

**ჭიჭიკო მიქაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება 25 ნოემბერს, სოფელ ქოლობანში.
(უფ. 1—1)

ინჟინერი მირიან გიორგის ძე ჯაში აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 25 ნოემბერს საყვარელ დაუვიწყარ დედის

**ნინო ზურაბის ასულის ჯაშის**

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა წმ. ნინოს ეკლესიაში და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე იმავე ეკლესიის გალავანში. (3068 2—2)

ღრმად დამწუხრებული დედა ფედოსი, ძმა ვასილ, დები, ფადინე ერმონია, რძალი მარგალიტა, ძმისწულები: სერიოჟა და თამრიკა, სიძეები: ლადიკო კალანდაძე და პართენ გოგუაძე მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის დაუვიწყარის და საყვარლის

**სევერიანე ქაიხოსროს ძე წულაძის**

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს 25 ნოემბერს, სოფ. ჭანჭათში (გურია).
(უფ. 1—1)

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს რომ ამა წლის 6 დეკემბერს დანიშნულია სენაკის სამაზრო

## ერობის ხმოსანთა ყრილობა

ყრილობა გაიხსნება ქ. ახალ-სენაკში, გამგეობის კანცელარიის შენობაში დილის 9 საათზე. გასარჩევი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენებანი, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის, 3) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 4) სანიტარული გადასახადი, 5) სესხი. 6) ერობის ბანკის დაარსება, 7) მიმდინარე საკითხები.

(3072 2—2) სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა.

საქართველოს ცენტრალური
კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია.
არტისტიული საზოგადოების
თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 26,
1919 წ. საღამოს 8 საათზე
ლ. ჟაკოსი.

## ვითა ფოთლები

პიესა 4 მოქმედებად.

რეჟისორი გ. ჯაბადარი.
პიესის გამძღოლი შ. ბერიშვილი.

ანონსი. ოთხშაბათს 3 დეკემბერს,
შალვა შარაშიძე.
„ავგაროზი“
ზღაპარი 4 მოქმედ.

(ნ. 2—1) მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება.

## ნამდვილი ჩინური ჩაი

ახალი მოსავლისა, საუკეთესო გემოსი, ფერისა. მიღებულია ჩინეთიდან და იყიდება პარტიობით და ცალობით. წონით ¼, ½ და 1 გირვანქიანი პარკებში

## ს. მულზეკიანის

ფირმით.

მისამართი: სომხის ბაზარი, „გასტინის დვორი“ მანთაშევისა, ზემო სართული №№ 119—120, დილის 9 ს.—2 ს. ტელეფონის ნომერი 7—21.

## ფასი 160 მანეთი გირვანქა.

მუდამ ვღებულობთ ახალ-ახალ ჩინურ ჩაის, ვსთხოვთ მყიდველთ თვით დარწმუნდნენ ჩაის მაღალ ღირსებაში. (3075—1—1)

## სომხეთ-ადერბეიჯანის შეთანხმება

შოვინისტთა ბანაკი დამარცხდა. ერთა სოლიდარობა იმარჯვებს.

ყველამ იცის, რომ სომხეთის და ადერბეიჯანის ნაციონალისტთა იმედები მუდამ დაფუძნებული იყო ამ ერთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებაზე. და ეს იმიტომ, რომ ერთა სოლიდარობა ნაციონალისტთა ბატონობის ამოგდებაა და დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება. ამიტომაც იყო ორივე ბანაკი გამუდმებით ცდილობდა ახალი სადავო საკითხების წამოყენებას. მოიგონეთ ნახიჩევანისა და შარურის ამბავი. მუსულმანთა ბრბოები სომხეთის მთავარ ქალაქს მიუახლოვდენ და მთელს რესპუბლიკას ემუქრებოდნენ. მოიგონეთ ის განგაში, რომელიც ასტეხეს სომხის დაშნაკცაკანებმა ყარაბახის საკითხის მშვიდობიანათ გადაჭრის გამო. სრულიად მოულოდნელათ აზერბეიჯანის მთავრობამ შესძლო ყარაბახელ სომხებთან საერთო ენის მოძებნა და დავის მშვიდობიანი გზით გადაჭრა. ეს მოასწავებდა სომხის ნაციონალისტთა გეგმის ჩაფუშვას და აი ისინი ყოველი ძალღონით ცდილობდნენ მომხდარი შეთანხმების დარღვევას და ყარაბახის სომეხთა ადერბეიჯანის წინააღმდეგ ამხედრებას. დასასრულ, ადერბეიჯანი შეიჭრა ზანგეზურის მაზრაში, რომ ხმლითა და მახვილით დაიმორჩილოს სალ კლდეებში გამაგრებული სომხის გლეხობა ფაქტიურად ომი გაჩაღდა. ორ მოძმე ერს შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის დაწყებას ელოდენ. ეს იქნებოდა რუს და ევროპიელ იმპერიალისტთა წისქვილის აბრუნება და მათი საქმის სომხეთ ადერბეიჯანის ხალხის სისხლით კეთება.

მკითხველს არ დავიწყებია ალბათ, რომ შავი გენერალი შავბნელი რეაქციისა გენერალი დენიკინი დიდი ხანია არწმუნებს სამშვიდობო კონფერენციას, თითქოს ამიერ-კავკასიაში ხოცვა-ჟლეტის გაჩაღება აქ რუსეთის დროშის ჩამოხსნამ და დამოუკიდებელ რესპუბლიკათა წარმოშობამ გამოიწვია. ამას ბანს აძლევენ განსაკუთრებით საფრანგეთის იმპერიალისტები. ასეთ დროს სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტის გაჩაღება ეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის დასამარების ხელის შეწყობა და რუსეთის შავი რეაქციის გამარჯვებაა. სომხეთ ადერბეიჯანის ომი—ეს იქნებოდა საყვირი, რომელიც გენ. დენიკინს ჩვენს საზღვრებში მოუხმობდა და რევოლიუციისა და თავისუფლების დასამარებას გაუადვილებდა.

ასეთი იყო საფრთხე, რასაც დემოკრატიას და ერთა სუვერენობას უმზადებდა სომეხ თათართა ნაციონალისტების შავი საქმიანობა და აი ასეთი საფრთხე თავიდან ავიცილეთ ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს დემოკრატიასა და მის მთავრობას. დემოკრატია დაჟინებით ითხოვდა სისხლის ღვრის შეწყვეტას. ასეთივე წინადადებით მიმართა ორივე მხარეს ჩვენმა მთავრობამ.

უკანასკნელ დღეებს განმავლობაში იმართებოდა სომხეთ ადერბეიჯანის პრემიერთა თათბირი საზავო კონფერენციის უმაღლესი რწმუნებულის ამერიკელი პოლკოვნიკის რეის და ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის თანადასწრებით. 23 ნოემბერს, თათბირი სრული დროებითი შეთანხმებით დამთავრდა. სისხლის ღვრას ბოლო მოეღო, ორ ერთა შორის კვლავ კეთილმეზობლური ურთიერთობა განმტკიცდა.

დამარცხდენ ორივე ქვეყნის ნაციონალისტები, რომელნიც ცდილობდენ სადავო საკითხის ხმლით და არა შეთანხმებით გადაჭრას. ორივე ბანაკი იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, რომლის ძალითაც ამიერიდან სადავო საკითხები შეთანხმებით, ან და სავალდებულო არბიტრაჟით უნდა გადასწყდეს. ეს დემოკრატიის გამარჯვებაა.

ამ შეთანხმებას სულით და გულით შეუერთდება საქართველოს დემოკრატია. ეს მოასწავებს მიერ კავკასიაში ერთა სოლიდარობის იდეის გამარჯვებას და წვრილ ერთა იმპერიალისტური მადის შეკვეცას და მილიტარისტული მეთოდების ჩაკვდებას. ამავე დროს ეს შეთანხმება გენ. დენიკინის გეგმის ჩაფუშვას ნიშნავს. შეთანხმებული ამიერ-კავკასიის ერები გამოსძებნიან საერთო ენას და გამოიჩენენ საკმაო ძალას შავი გენერლის აგრესიული ნაბიჯების საწინააღმდეგოთ.

ამ შეთანხმებამ ევროპის იმპერიალისტთა გეგმაც ჩაფუშა. ისინი ცდილობდენ ამიერ კავკასიაში მეორე ბალკანეთის შექმნას და ინტრიგების ქსელის გაბმით მათი შავბნელი საქმის კეთებას. დღეს მათთვისაც ნათელია, რომ ჩვენ ბალკანეთის გზას უარვყოფთ და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებით ვცდილობთ დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების მოახლოებას.

ჭეშმარიტათ, სომხეთ ადერბეიჯანის შეთანხმება ისტორიული დატაა, ეს ამიერ კავკასიაში ახალი ხანის—ერთა შეთანხმების დასაწყისია.

## მოხალისეთა ბლოკადა

მოხალისეებმა ყუბანს ბლოკადა გამოუცხადა, აუკრძალა საქონლის გატან-შემოტანა. ამას დაერთო ზოგიერთი აქტიური ნაბიჯები მიმართული ყუბანის და დონის პოპულიარულ საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ. მოხალისეთა ამ გვარმა თვითნებობამ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია იქაურ პოლიტიკურ წრეებში. ყველაზე მეტათ ალაპარაკდა რადა და მოხალისეთაგან თავის დასაცავათ ზოგიერთი ნაბიჯები გადადგა. ამ გვარათ ყუბანსა და მოხალისეთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა და უნდა ვიფიქროთ, არც ისე ადვილათ დანელდება.

ყუბანი და დონი პირველი იყო, რომლებმაც მოხალისეები შეიფარა, შეავსო თავის ჯარებით და ასე საშუალება მისცა ფრონტი გაემაგრებია. დენიკინის გარშემო თავი მოიყარა ყოფილი რუსეთის ყველა შავმა ძალებმა და რამდენათ ვითარდებოდა და ფართოვდებოდა მოხალისეთა გამარჯვება-ოპერაციები, იმდენათ ძლიერდებოდა და სინათლეზე გამოდიოდა მოხალისეთა და მისი ამალის შავი ზრახვანი. სისხლი და ცეცხლი, რომელიც თან დაქონდა მას დროებით ასცდა ყუბანს, მაგრამ დღეს მისკენ იბრუნა პირი და ლამობს ყოველივე ცოცხალი, ყოველი მომქმედი და პროგრესიული მისწრაფებანი დაუმორჩილოს თავის მონარქიულ ზრახვებს. ეს იგრძნო ყუბანმა და აი ისიც შეუდგა მისი ოპეკისაგან თავის დახწევას მას შეუძლია კიდეც დაიცვას თავი შავი ლაშქრისგან. ამისთვის საკმაო ჯარიც ყავს; მაგრამ ეს ჯარი შერთულია დენიკინის არმიაში. ამიტომ მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ ვის მხარეზე იქნება ეს ჯარი. თუ მივიღებთ მხედველობაში რადას სხდომაზე „კრუგ ს“ ატამანის განცხადებას, უნდა ვიფიქროთ რომ ჯარი მხარს დაუჭერს რადას შეიძლება ესეც იყოს მიზეზი, რომ დენიკინი ჯერ მხოლოდ პასიური ბრძოლით კმაყოფილდება და ვერ ბედავს აშკარა თავდასხმას. ყოველ შემთხვევაში ყუბანსა და მოხალისეთა შორის დამოკიდებულება დღეს იმდენათ გამწვავებულია, რომ მისი მხოლოდ ლაპარაკის სფეროში შეჩერება შეუძლებელია. მას ასე თუ ისე რეალური, ფაქტიური გამოჯვენის შინაარსი ექნება და ჩვენი წრფელი სურვილია გამარჯვება ამ კონფლიქტში წილათ ხვდეს რადას.

თუ ასე მოეპყრა დენიკინი ყუბანს, რაღა გასაკვირველია თუ ის ჩვენ სულ აღარ გვინდობს და ჩვენს [illegible] დროსა და პირობებს ანდობს. ის ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის ველურ ბრძანებას ჩვენი ბლოკადის შესახებ, სასტიკათ უკრძალავს კომერციულ გემებს ჩვენს ნავთ სადგურებში შემოსვლას და საქონლის მოტანა წაღებას უკანასკნელი ბრძანება ეხება ბათუმის ნავთ სადგურსაც.

დღემდის, როგორც ვიცით, ბათუმი დენიკინის დიდი სიმპატიით სარგებლობდა. მისთვის არავითარ საქონელს არ იშურებდა. აქ დივიზიის გაჩენასაც ფიქრობდა. დღეს კი მის წინააღმდეგაც აცხადებს ბლოკადას. ეტყობა ბათუმის დღევანდელ გამგე-მესვეურთა და დენიკინის შორის არსებული ურთიერთობა დაირღვა. თუ ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ დენიკინის პრეტენზიებს ბათუმზე ბოლო ეღება ეს დღემდისაც უნდა მომხდარიყო, რადგან ბათუმის დენიკინის გავლენის სფეროში ტრიალი—ეს იყო დარღვევა ყოველგვარი ელემენტარული უფლების და სამართლიანობის საქართველოს მიმართ. და თუ ახლა მაინც იქნა გაგებული და შეთვისებული ეს „შეცდომა“ ესეც დიდი ნაბიჯია წინ. მაგრამ დენიკინის პრეტენზიების უკუ გდება რასაკვირველია არ სწყვეტს საკითხს. ბათუმი და მისი ოლქი ეს ის ისტორიული და ეკონომიური ნაჭერია საქართველოსი, რომლის მოკვეთა უდრის რესპუბლიკის ორგანიზმის უმთავრეს მასაზრდოებელ არტერიის გადაჭრას.

საქართველო უბათუმოთ, ბათუმი უსაქართველოთ—ეს არ ეგუება არც ისტორიას, არც სამართლიანობას, არც ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. ამიტომ ბათუმის ბედის დღევანდელმა გამგებმა უნდა შეიგნონ ეს უტყუარი ჭეშმარიტება და ბათუმის დაბრუნების საკითხი რაც შეიძლება დაჩქარებით გადაწყვიტონ. ამ დაჩქარებას მოითხოვს არა მარტო საქართველოს ინტერესები, არამედ მთელი ამიერ კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ინტერესები.

განი.

## კერძო ინიციატივა ეკონომიკაში

კაპიტალიზმის განვითარების პირველი ხანა გვიჩვენებს, რომ უმეტესი ნაწილი კაპიტალისა იხარჯება რკინის გზებზე, ბანკებზე, დამზღვევ საზოგადოებებზე, ე. ი. იხარჯება გაცვლის და ტრანსპორტის დარგში, მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ნაწილი მიდის მრეწველობის განსავითარებლად. მხოლოდ შემდეგში ასეთ ტენდენციას ბოლო ეღება და დიდი ნაწილი კაპიტალისა იხარჯება მრეწველობაზე. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას. კაპიტალისტთა ხელში გროვდება დიდძალი თავისუფალი კაპიტალი. ამ უკანასკნელს ის ახმარებს წარმოების განვითარებას, რომელიც ითხოვს ახალ-ახალ ბაზარს. ამ დროიდან კაპიტალი იწყებს თარეშს დედა-მიწის ზურგზე. შორეულ გამოსადეგარ ადგილებისკენ მიისწრაფვის ის, რომ იქ ფეხი მოიკიდოს, დაეწაფოს ადგილობრივ მადნეულობას, ააგოს ფაბრიკა ქარხნები, გაიყვანოს რკინის გზები, მოაგვაროს გემითა მიმოსვლა, დაარსოს სააქციონერო საზოგადოებანი, ბანკები, გაიყვანოს არხები. ამ მიზნისთვის მოძრაობაში მოდის სახელმწიფოს ყველა ძალები: გაწრთვნილი ჯარი — ზარბაზნებით, ტყვიისმფრქვეველებით, სამხედრო ფლოტი, უმავთულო ტელეგრაფები, ტელეფონები, აეროპლანები, ერთი სიტყვით მთელი თანამედროვე ტეხნიკა. ეს კაპიტალი ამ მოძრაობის ხანაში იზრდება, სუქდება და ერთი ნაწილი დამატებითი ღირებულებისა იგზავნება სამშობლოში, სადაც ეს ნაწილი იწყებს თავისი საკუთარ მოძრაობას, აგროვებს ახალ ნაწილს, რომელიც ახალი ენერგიით აღჭურვილი თვითონ იწყებს თარეშს, იმ ქვეყნებში, სადაც აქამდე არ უმოქმედნია, თავისი ბუნება არ გამოუჩენია. ხშირათ კაპიტალი მიემგზავრება გაკოტრებულ ქვეყნებშიც კი, ოღონდ თავი დააღწიოს საკუთარ სახელმწიფოს საზღვრებში გამძლავრებულ კონკურენციას რადგან მოგება რომელსაც იძლევა ჩამორჩენილ ქვეყნებში გატანილი კაპიტალი, მეტად დიდია. და მოგებისადმი ლტოლვილებას ხომ საზღვარი არ აქვს, მაშასადამე არ აქვს საზღვარი კაპიტალისტურ ლტოლვილებასაც ახალ ქვეყნების შესაძენათ. მსხვილ მრეწველობის ლტოლვილება ახალშენების თუ ბაზრის შესაძენათ უფრო ძლიერდება მას შემდეგ, რაც სამრეწველო კაპიტალი ხდება დამოკიდებული საფინანსო კაპიტალისაგან.

მაგრამ ახალ-ქვეყნების შეძენა უკანასკნელ წლებში შეიძლებოდა მხოლოდ იარაღით ხელში. საქმე იმაშია, რომ ომის დაწყებამდე თითქმის მთელი დედა-მიწის ზურგი დანაწილებული ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს. ომის წინ, ე. ი. 1914 წელს ინგლისის ახალშენთა სივრცე უდრიდა 33,5 მილიონ კვ. კილომეტრს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 393 მილიონს.

გერმანიის ახალშენის სივრცე იყო 2,9 მილიონი კვ. კილომეტრი, მცხოვრებთა რიცხვი კი 12 მილიონი. საფრანგეთის ახალშენების სივრცე 10,6 მილიონი კვ. კილომეტრი და 55,5 მილიონი მცხოვრებლებით, დაბოლოს რუსეთის ახალშენების სივრცე იყო 17,4 მილიონი კვ. კილომეტრი, 33,2 მილიონი მცხოვრებლებით. რადგან გასანაწილებელი არაფერი რჩებოდა, დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა შეჯახებოდენ, იარაღს უნდა გადაეწყვიტა ახალშენების ახალი გადაჯგუფება. ხუთი წლის ომმა, რომელიც დამთავრდა ანტანტას გამარჯვებით, ახალშენები ჩამოაცალა საშუალო ევროპის სახელმწიფოებს, რუსეთსაც მოწყდა მდიდარი ახალშენები. დღეს საფრანგეთ ინგლის-ამერიკის კაპიტალი თავისუფლად იწყებს თარეშს დედამიწის ზურგზე. მხოლოდ დღეს მდგომარეობა მეტად გართულებულია. საქმე იმაშია, რომ ომის პროცესში განადგურდა და აყარებული ღირებულებანი, ბევრ ქვეყნებში განადგურდა ნაწილი ფაბრიკა ქარხნების, ნაწილი კი გადაკეთებულ იქნა საომარ მასალების დასამზადებელ ქარხნებად, განადგურდა თუ უვარგისი შეიქნა დიდძალი რკინის გზების, ხიდების, ორთქლმავალების, ვაგონების, ზღვის უფსკრულში ჩაიძირა ერთი ნაწილი გემების, განადგურდენ ქალაქები, სოფლები; ამას დაერთო ისიც, რომ ომის გათავების შემდეგ ბევრ ქვეყნებში შრომის ნაყოფიერებამ იკლო. ინგლის-ამერიკა საფრანგეთის კაპიტალი უნდა ამოძრავდეს, რომ აოხრებული ოლქები აღადგინოს, ზოგგან ქარხანა ფაბრიკები ხელ ახლა გადააკეთოს, ზოგგან კი აღადგინოს აამოძრავოს და სხ. ყოველივე ამას სჭირდება არა მარტო დიდძალი კაპიტალი, საჭიროა საწარმოვო ძალთა განვითარება, საჭიროა შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს ერთი და ორი დღის საქმე როდია ამას წლები დასჭირდება. მეორეს მხრივ, სწორეთ ის გარემოება, რომ საფრანგეთ-ინგლის-ამერიკას ბაზარზე მეტოქე აღარ ჰყავთ, რომ კაპიტალისთვის სათარეშო ასპარეზი მეტათ ვრცელი შეიქნა, ამ ქვეყნების კაპიტალი იქ წავა, სადაც მეტ მოგებას ნახავს, სადაც თანამედროვე პირობებში მეტ უზრუნ. იქნება. წინეთ კაპიტალი დაუპატიჟებლად, დიდის სიძნელით გზას იკაფავდა ახალ ბაზრისაკენ ახალ ახალშენების შესაძენათ, დღეს კი მას ეპატიჟებიან ყოველ მხრიდან. დღეს არავინ ფიქრობს იმაზე თუ რა ფორმით შევა კაპიტალი ამა თუ იმ ქვეყანაში, ოღონდ კი მობრძანდეს. განა დღეს ფუფუნების დროა? ეს დიდებულათ იციან კაპიტალისტურ ქვეყნების კაპიტალისტებმა და ისინიც სხვა და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში აწვდიან ისეთ რამეებს, რაც დიდ მოგებას იძლევა და მასთან მოგებას დაუყოვნებლივს. ამა თუ იმ მხარეს მიადგება ორი-სამი გემი დატვირთული ძველი საპნით თუ დამპალი მაუდით და ჩითეულობით, გლახა ღირსების ფეხსაცმელებით და ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარ აქვს. „გემები მოვიდა ძვირფასი საქონლით“-ო. ეს მოვლენა ხდება ყველა ჩამორჩენილ ქვეყნებში. ასეთ პირობებშია ყველა ის ქვეყნები, სადაც საკუთარი განვითარებული მრეწველობა არ არსებობს.

ამერიკა ინგლისს საფრანგეთს ბაზარზე გამოაქვთ ათეული წლებით დაგროვილი საქონელი, რომელიც ვერ საღდებოდა განსაკუთრებით გერმანიის კონკურენციის წყალობით, ჰყიდიან ამ საქონელს რაც შეიძლება ძვირათ. მოგებული ფულით ეს სახელმწიფოები შეეცდებიან აატრიალონ, გააჩაღონ წარმოება თავის საკუთარ სახელმწიფოებში, რადგან დღევანდელ პირობებში, როდესაც თვით ამ ქვეყნებს აკლიათ საწარმოვო იარაღები არა თუ შორეულ ქვეყნებში გასატანათ, თვით ევროპაში დაზარალებულ რაიონების აღსადგენად, როდესაც შრომის ნაყოფიერების დაცემამ სტიქიური ხასიათი მიიღო, როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილ ქვეყნებში სხვადასხვა მიზეზების გამო, როდესაც ტრანსპორტის საქმე მოიშალა და გაძვირდა, როდესაც ამ ქვეყნების კაპიტალის სათარეშო ასპარეზზე გაფართოვდა ძლიერი კონკურენტების ჩამოშორებით და სხ. და სხ. ასეთ პირობებში, ვიმეორებ, საქონლის დამზადება კაპიტალისტებისთვის უფრო საჭიროა საკუთარ სახელმწიფოში და შემდეგ ამ საქონლის ახალშენებში მიწოდება. ჩემის აზრით, პროცესი წარმოების გაჩაღებისა ჩამორჩენილ ქვეყნებში დიდი სახელმწიფოების მიერ, პროცესი რომლითაც ხასიათდებოდა უკანასკნელი 20—30 წელი ომამდე, საკმაო დიდი ხნით შეჩერებულია. ის აზრი, ვითომ ერთ მშვენიერ დღეს ამა თუ იმ ჩამორჩენილ ქვეყანას მოადგებიან ინგლისის ან ამერიკის გემები, დატვირთულნი საუკეთესო სამეურნეო იარაღებით, სხვადასხვა მანქანებით და ააგებენ-აამოძრავებენ ფაბრიკა-ქარხნებს, გაიყვანებენ რკინის გზებს, არხებს და სხვა, ჩემის ფიქრით, შემცდარია. ჩამორჩენილ კუთხეებმა თვით უნდა გამოიჩინონ უნარი მრეწველობის განსავითარებლად. ასეთ ჩამორჩენილ კუთხეს ეკუთვნის ჩვენი პატარა სახელმწიფოც. მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივ მრეწველობის განვითარებას, მარტო მთავრობის ძალ-ღონე არ კმარა ამ დიად საქმის მოსაგვარებლად. ამ საქმეში უნდა მიეცეს ფართე ასპარეზი კერძო ინიციატივას. თუ კერძო ინიციატივა არ იქნა გამოყენებული, ვშიშობთ რომ მრეწველობის განვითარების საქმე დიდ ხანს საკმაოთ ვერ წაიწევს წინ.

ი. სალაყაია.

## დამფუძნებელი კრების კომისიებში

21 ოქტომბრის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა გადაეცეს სათანადო კომისიებს შემდეგი პროექტი დეკრეტებისა:

გზათა და საბიუჯეტო საფინანსო კომისიებს: 1) გზათა მინისტრის პროექტი

## დღეს

უმაღლესი საბჭო სასურველად სცნობს, რომ ვერსალის საზავო ხელშეკრულება პირველ დეკემბრიდან შევიდეს ძალაში.

გერმანია დიდ იმედებს ამყარებს საზავო ხელშეკრულებაში ამერიკის მიერ შეტანილ შესწორებებზე.

ბოლშევიკების ცნობით დამოუკიდებელმა სოციალ დემოკრატებმა მონარქისტების საწინააღმდეგოთ ბერლინში წარსულ კვირას 60 მიტინგი გამართეს.

გერმანული პრესის ცნობით ქვედა პალატაში მუშათა პარტიამ შეკითხვა შეიტანა იმის შესახებ, მართლა ეხმარება ინგლისი დენიკინს უკრაინის წინააღმდეგ ბრძოლაში თუ არა.

პოლონეთსა და უკრაინას შორის დროებითი ზავი ათი დღით არის გაგრძელებული.

უკრაინის საელჩოს განცხადებით მართალი არ არის დენიკინის ცნობა, თითქოს 20 ათასი გალიციელი დენიკინის მხარეზე გადასულიყოს—უკრაინის ჯარში გალიციის ლაშქარი დენიკინის წინააღმდეგ მედგრათ იბრძვის.

პეტროგრადში შეთქმულობა აღმოაჩინეს, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა გენ. იუდენიჩს ქალაქში აჯანყების მოწყობით

დეკრეტისა—ბათუმ ნატანების რკინის გზის ნაწილის საექსპლოატაციო ხარჯის დასაფარავად 1919—1920 წ. 7,167,350 მან. და სახაზინო რკინის გზის საერთო ხარჯთ აღრიცხვის დამატებათ—968,193 მან. კრედიტის გახსნის შესახებ და 2) გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა—სახაზინო რკინის გზის შტატ გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა დასახმარებლათ გაწეულ ხარჯის დასაფარავათ 5,925,000 მან. გადადების შესახებ.

აგრარულ და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიებს: 1) მიწათ მოქმედების მინისტრის პროექტი დეკრეტისა—მცხოვრებთა შორის გასანაწილებელ სათესლეს შესაძენათ 5 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას: 1) სამხედრო კომისიის კანონ პროექტი—სახალხო გვარდიის შესახებ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 ნოემბერი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

როგორც ვენიდან იუწყებიან, ავსტრიასა და გერმანიას შორის მოლაპარაკებაა იმის შესახებ, რომ ჩრდილო რკინის გზით ავსტრიისკენ გაატარონ სურსათით დატვირთული მატარებელი. ასე რომ მომავალ კვირაში შესაძლებელი იქნება ნახევარ პურის რაციონი დაარიგონ.

როგორც ვარშავიდან იუწყებიან, პოლონეთსა და უკრაინას შორის დროებით ზავი ათი დღით არის გაგრძელებული.

მუშათა პარტიის სახელით შეკითხვა შევიდა ინგლისის ქვედა პალატაში იმის შესახებ, მართალია თუ არა, რომ ინგლისის მთავრობა მხარს უჭერს დენიკინს უკრაინის წინააღმდეგ ბრძოლაში, და თუ ამას ადგილი აქვს, მართლა იმყოფება დენიკინის ჯარში ბრიტანიის აფიცერი, რომელიც ომს ხელმძღვანელობს? სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფორსტერმა უპასუხა, რომ დენიკინს ჩვენ ვაწვდით სამხედრო მასალას, მიუხედავათ იმისა თუ ვის ებრძვის ისი (ხმა მაღალი სიცილი და ყვირილია).

გერმანია დიდ იმედებს არ ამყარებს ვერსალის ხელშეკრულებაში ამერიკის მიერ შეტანილ შესწორებებზე. საზოგადოდ უფრო იმ აზრს ადგანან, რომ ამერიკის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის უარის თქმა შემარიგებელი ფაქტორია საზავო ხელშეკრულების პირობების ასრულებაში. „ფორვერტსი“ და ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ, რომ გერმანიამ არავითარი ფორმალური საბაბით არ ისარგებლოს თავის ვალდებულებაზე უარის სათქმელად.

უკრაინის საელჩო იუწყება, რომ როსტოვიდან მიღებული ცნობა, თითქოს გალიციის ლაშქრის ნაწილმა, 20,000 კაცისაგან შემდგარმა, რომელიც პეტლიურას მარცხენა ფრთას შეადგენდა დენიკინის მხარეზე გადავიდა სიცრუეა. უკრაინის ჯარში გალიციის ლაშქარი დენიკინის წინააღმდეგ ძლიერ კარგა იბრძვის.

ქვედა პალატის წევრი სოც. დემოკრატი ირვინგი შეეკითხა, იცის მთავრობის თავმჯდომარემ, რომ როგორც უკრაინა ირწმუნება, დენიკინი პირველი დაეცა უკრაინას და ამის შემდეგ რა საბუთით შეიძლება უფრო დენიკინს ერწმუნოთ, ვიდრე პეტლიურას. უდუოლდი შეეკითხა არ შეიძლება, რომ ადგილობრივათ გაიგზავნოს ინგლისის აფიცერი, რათა ის ადგილობრივათ გაერკვეს? „მანჩესტერ გუარდიონი“ სწერს: „ჩვენ უნდა კარგათ ვიცოდეთ ჩვენი რუსეთის საქმეში ჩარევით ვის ვუჭერთ მხარს და ვის წინააღმდეგაა ჩვენი ჩარევა მიმართული. ცხადია, მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგ არ არის რადგან ჩვენ ვგებულობთ, რომ დენიკინი, რომელსაც ჩვენ სურსათს და სამხედრო მასალას ვაწვდით, უკრაინასაც ეომება. ეს უკანასკნელი კი ბოლშევიკების წინააღმდეგია. ჩვენ ამასთანავე იმასაც გვეუბნებიან, რომ დენიკინი მიწოდებულ სამხედრო მასალას და სურსათს ბოლშევიკებს დაუტოვებს.

**ფრანგული პრესის ცნობები**

უკვე რამდენიმე დღეა რაც პარლამენტარულ წრეებში ხმაა გავრცელებული ავსტრიაში სასურსათო კრიზისის გამო სოციალისტ მინისტრების მიერ თანამდებობისთვის თავის განებების შესახებ. ეს ხმა რეალურ ფორმას ღებულობს, რასაც ამტკიცებს ხუთშაბათს მომხდარი სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფის სასწრაფო სხდომა, რომელ სხდომის დღიურ წეს რიგს საიდუმლოთ ინახავენ.

როგორც რომიდან იუწყებიან არჩევნების შედეგი იტალიაში ასეთია: 156 სოციალისტი, 100 კათოლიკე, 161 ლიბერალი, 16 სოციალისტ რეფორმატორი, 23 დემოკრატი, 9 რესპუბლიკანელი, 23 კომბატანტი, 1 ქრისტიანულ რადიკალ-დემოკრატი, 2 ნაციონალისტი, 3 დამოუკიდებელი, 1 რადიკალ სოციალისტი, 1 დამოუკიდებელი სოციალისტი.

„გავასმა“ ინტერვიუ მოახდინა ერთ წარჩინებულ ამერიკელთან იმ საკითხის გამოსარკვევათ, თუ როგორ იქნას გაგებული ამერიკის სენატის მიერ საზავო ხელშეკრულების გამო მიღებული გადაწყვეტილება და რაზე იქონიებს გავლენას ეს გადაწყვეტილება. რესპუბლიკანური პარტია, რომელიც საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა, სცდილობს პასუხისმგებლობა ვილსონს მოახვიოს თავზე. შესაძლებელია კომპრომისი მოხდეს ტაფტის საქმეში ჩარევით. როგორც სჩანს, მდგომარეობა რამოდენიმეთ ირკვევა.

უმაღლესი საბჭო სასურველათ სცნობს, რომ ვერსალის საზავო ხელშეკრულება პირველ დეკემბრიდან შევიდეს ძალაში.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. ნოემბრ. 23. პეტროგრადში აღმოაჩინეს თეთრ გვარდიელთა ჯაშუშების ორგანიზაცია, რომელიც გენ. იუდენიჩს აჯანყების მოწყობაში ეხმარებოდა. ორგანიზაციაში 300 კაცამდე შედიოდა, განსაკუთრებით სამხედრო სპეციალისტები, რომელნიც წითელ არმიაში მსახურებდენ. ორგანიზაციის სათავეში სდგას „ვაჭრობა-მრეწველობის გაზეთის“ ერთი რედაქტორთაგანი ბიკოვი. ორგანიზაცია ორ ნაწილისაგან შესდგება: 700 კაცისა და აგრეთვე რაზმისაგან, როგორც ისინი უწოდებდენ, ხულიგანებისაგან. ორგანიზაციას კავშირი ჰქონია ჩვენს ყველა სამხედრო დაწესებულებებთან, მას აგრეთვე მუდმივ კავშირი ჰქონია იუდენიჩთან და ყველა სამხედრო და პოლიტიკურ ხასიათის ცნობებს აწვდიდა მას. ჯაშუშთა ორგანიზაცია სარგებლობდა ჩვენი საზღვაო რადიოსადგურით და აგრეთვე საჰაერო ფლოტით, საზღვარ გარეთთან დამოკიდებულებისათვის. ორგანიზაცას მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა მოკავშირეებთან, რომელთაგან ის დიდძალს ფულს იღებდა. მიღებულ ფულს ათეული მილიონებით ანგარიშობენ. ჩვეულებრივ დახმარებასთან ერთად, მოღალატენი აგრეთვე პიტერის შინაგან აღების საქმესაც აწყობდენ. ამ მიზნით დაწყება აჯანყების მათ სურდათ იუდენიჩის პიტერთან მიახლოების დროს. აჯანყებულებს ზურგიდან უნდა შემოეტიათ. კონტრ-რევოლიუციონერები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი გამარჯვებაში, რომ იუდენიჩის შეტევის დროს დროებითი მთავრობაც ყავდათ არჩეული. შეთქმულების მონაწილენი დაპატიმრებულნი არიან.

მოსკოვი. პარიზმა ვერ შესძლო ახალ არჩეულ 448 დეპუტატისთვის ბინის შოვნა. ოთახი 15,000—20,000 ფრანკამდე ღირს წელიწადში იმ დროს, როცა დეპუტატები მხოლოდ 15,000 იღებენ წელიწადში.—კვირას ბერლინში დამოუკიდებელ სოციალისტ დემოკრატთა 60 მიტინგი გაიმართა, მონარქისტებისა და მონარქისტული ოფიცრების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 23 ნოემბ. სამხედრო ცნობა. ნარვის მიმართულებით. 100 ვერსის ფრონტზე, ფინეთის ყურედან ჩუდის ტბამდე ჩვენი იერიშები გრძელდება. პსკოვის და დვინის რაიონში მზვერავები მოქმედებენ და ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს. ვოლანის ნოვგოროდის მიმართ. მტრის ნაწილების მოქმედება უშედეგოა. კიევის რაიონში რაიონში მზვერავები მოქმედებენ. ნეჟინ-რილსკის მდგომარეობა არ შეცვლილა. ლოგოვ-კურსკის რაიონში მტერი რკინის გზიდან უკუ ვაქციეთ. ლისკის მიმართულებით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. ბოპროვის მიმართ. ჩრდილოეთით 10 ვერსზე მტერი რამოდენიმე სოფლიდან გავდევნეთ. ჩვენმა ჯარმა აიღო სადგ. ტერესოვო, ბუტურლინოვკა და მასიჩევი. კალიჩის მიმართ. ურიუპინის რაიონში მდ. ხოპრზე გადავედით და შეტევას განვაგრძობთ. დონსა და ვოლგას შუა წითელი ჯარი მტერს სამხრეთისკენ ახევინებს. ცარევის რაიონში ბრძოლით ავიღეთ ზაპლავნოე და სრედნე ასტუბინსკოე. ომსკის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ომსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 120—135 ვერსზე ჩვენ რამოდენიმე სოფელი ავიღეთ.

ნაუენი. ნოემ. 21. იტალიიდან იუწყებიან, რომ სკუტარში, სადაც მოკავშირეთა საოკუპაციო რაზმი საფრანგეთის გენერლის სარდლობის ხელქვეშ იმყოფება, იტალიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის შეტაკება არ სცხრება. როგორც სჩანს იტალია სცდილობს ოლქი თავის ხელში ჩაიგდოს.

**მოხალისეთა ცნობები.**

ტაგანროგი. ნოემ. 22. ცარევის მიმართულებით მოწინავე ჯარების შეტაკებაა. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

კურსკი ჩვენმა ჯარმა დასტოვა და ქალაქის სამხრეთით ახალ პოზიციებზე გამაგრდა. ბრიანის მიმართულებით ლგოვის სამხრეთით მტრის შემოტევა შევაჩერეთ. კოზელცის მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჟიტომირის მიმართულებით კიევის ჩრდილოეთით ჩვენ სოფ. ბორკი ავიღეთ.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

მიმდინარე წლის 11 და 12 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით და მინისტრის ამხანაგის პარმენ ჭიჭინაძის, რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის ს. გეგელაშვილის, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის იას. აფაქიძის, სენატის პროკურორის ან. გელაზარაშვილის, სამოსამართლო პალატის პროკურორის ტატიშვილის, სახაზინო პალატის უფროსის, ქვათურისა და ლეჩხუმის გადასახადთა ინსპექტორების, გენერალური შტაბის უფროსის, ერობათა ცენტრალური ბიუროს წევრების, გრ. ლორთქიფანიძის და ის. სტურუას, რესპუბლიკის ყველა მაზრის კომისრისა და მილიციის უფროსის, გარდა ოზურგეთის მაზრის კომისრისა, თფილისისა და ფოთის ქალაქების მილიციის უფროსების თანადასწრებით შინაგან საქმეთა სამინისტროში შესდგა თათბირი ანარქიასთანა და დეზერტირობასთან ბრძოლის ზომათა მისაღებათ და დადგინდა:

**ყაჩაღობასთან ბრძოლა.** 1) დაუყონებლივ ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ყაჩაღთა სია, რაიცა გადაეცეს ყველა სამაზრო კომისრებს, მათ სიაში შეძლების დაგვარად იქნეს აწერილი შესაპყრობ პირთა გარეგნობა.

2) ყაჩაღები და მათი მფარველნი, ან წამქეზებელნი, როცა მათ წინააღმდეგ საკმაო საბუთი არ მოიპოვება პასუხის გებაში მისაცემათ, გადასახლებულ იქნენ მაზრიდან, ან რესპუბლიკის საზღვრებიდან.

3) საზოგადოებრივი მყუდროების უზრუნველსაყოფათ მოხდეს ხალხის საყოველთაო განიარაღება, გარდა ჯარის და სახალო გვარდიისა.

**სოფლად ჩამოერთვას თოფები.** რუსული სამხაზიანი ნიმუშის 1891 წ., ბერდანკები 4, 2 ხაზიანი, გერმანული მაუზერი, ოსმალური მაუზერი, ავსტრიული მაუზერი, ამერიკული ვინჩესტერი, ფრანგული ლებელი, ინგლისური და სხვ.

საზოგადოთ ცეცხლმსროლელი ქახრაკიანი თოფები, რომლებიც იხმარება როგორც ჩვენს ლაშქარში, აგრეთვე უცხოეთისაშიც.

რევოლვერები: ნაგანი, მაუზერი, პარაბელიუმი, კოლტი, ბრაუნინგი დიდი კალიბრისა, და ყველა მაუზერის ფიშტო.

ხოლო ქალაქებში ჩამორთმეული უნდა იქნეს ყოველგვარი იარაღი.

ჩამორთმეული იარაღი უნდა გადაგზავნილ იქნას საარტილერიო საწყობში და ამ მიზნით ადგილობრივ გადაეცეს აღმრიცხვის უფროსს რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას.

**მილიციის ორგანიზაცია.** 1) ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული მილიციის შემადგენლობის გასაწმენდათ არასაიმედო პირთაგან. 2) მოკლე ხანში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსდეს მცირე ვადიანი კურსები მილიციელთათვის. 3) მილიციელებათ მიღებული უნდა იქნენ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნენი. საერთო კანონათ იქნეს მიღებული, რომ სათემო მილიციაში არ იქნენ მიღებულნი ადგილობრივი მცხოვრებნი. 5) თემის მილიცია პირდაპირ ემორჩილება რაიონის მილიციას, ხოლო ეს უკანასკნელი—მაზრის მილიციის უფროსს.

მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწისა და რაიონის მილიციას უფროსის კანდიდატურას ადგენს მაზრის მილიციის უფროსი და ამტკიცებს მაზრის ერობის გამგეობა. 6) სისხლის სამართლისა და საზოგადოებრივი უზრუნველყოფის საქმეში ქალაქების მილიცია. გარდა თფილისის, ქუთაისის, ფოთისა და სოხუმის, ემორჩილება მაზრის მილიციის უფროსს. 7) კომისრებმა და საზოგადოთ მილიციის მოხელეებმა უსათუოდ უნდა იქონიონ სასჯელთა დებულებისა და სისხლის სამართლის წარმოების წიგნები. ან ვრცელი ინსტრუქცია.

**ჯამაგირი მილიციის მოხელეთათვის.** 1) თათბირი სასურველათ სცნობს დამყარდეს შემდეგი ჯამაგირები: მაზრის რეზერვის უმცროს მილიციელს 1,500 მ. თემისას 1200 მ., ცხენოსანს დამატებით მიეცეს ფურაჟის ფულათ 500 მ., თემის უფროს მილიციელს 1.400 მ., თემის მილიციელები იქნებიან ქვეითი. 2) რაიონის მილიციის უფროსი 2.500 მ. ფურაჟით. 3) მაზრის მილიციის უფროსს 4,200 მ. ფურაჟით, მის თანაშემწეს 1,500 მ.

**ფორმა მილიციისათვის.** 1) მთელ რესპუბლიკაში შემოღებულ იქნას მილიციისათვის ერთგვარი ფორმა. სასურველია მილიციას დაეთმოს ფართლეულობა მომარაგების კომიტეტიდან შეღავათიან ფასებში.

**წინასწარი კვლევა ძიება.** 1) წინადადება მიეცეს ყველა მაზრის კომისარსა და მილიციის უფროსს ყოველივე კვლევაძიება დამნაშავითურთ 24 საათში გადაეცეს გამომძიებელს, ხოლო, როცა გამოძიებული უნდა იქნეს მძიმე დანაშაული, დასახელებულ ვადაში გამომძიებელს გადაეცეს ტუსაღი და მოკლე ოქმი. დამატებითი საჭირო ცნობები კი, შეკრებილი მილიციის უფროსის მიერ, გაეგზავნოს გამომძიებელს უახლოეს ვადაში; 2) ოქმები შედგენილი უნდა იქნენ თანახმად თფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის გელაზარაშვილის მიერ შედგენილი ინსტრუქციისა; 3) საჭიროა გამომძიებელთა რიცხვი გამრავლებულ იქნეს; 4) სასურველია საგანგებო სასამართლოს დადგენილების მე-5 მუხლი შეიცვალოს ისე, რომ ყოველი მძიმე დამნაშავე არ იქნეს განთავისუფლებული სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

**გადასახადის აკრეფა.** 1) გადასახადის აკრეფის საქმეში მიღებულ იქნეს რადიკალური ზომები, რომ ახალ წლამდე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს იანვრისა, აკრეფილ იქნას ყველა გადასახადი.

**დეზერტირებისა და მორიგ გასაწვევ ახალგაზრდათა შეკრება.** 1) დეზერტიერები და ჯარში ახლად გასაწვევი ახალგაზრდობა ლაშქარში შეგროვილი იქნეს და გადაეცეს აღმრიცხვის უფროსს წამქეზებელ მშობელ და და მფარველთა წინააღმდეგ მიღებული იქნეს რადიკალური ზომები პასუხისგებაში მიცემით თანახმათ დეკრეტისა.

## ახალი ამბები

**სომხეთ ადერბეიჯანის შეთანხმება ზანგეზურის საკითხში.** 23 ნოემბერს, სომხეთისა და ადერბეიჯანის წარმომადგენლებს შორის, ხატისოვისა და უსუბეკოვის სახით, საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრის ე. პ. გეგეჭკორისა და საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისრის მოადგილე პოლკ. რეის თანადასწრებით მოხდა შეთანხმება ზანგეზურის საკითხში. შეთანხმებას ხელი მოაწერეს შუადღის 1 საათზე.

◆ **ზანგეზურის საკითხში მომხდარი შეთანხმების გამო.** ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის, 23 ნოემბერს—ნაშუადღევის 4 ს., საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის ინიციატივით გაიმართა ბანკეტი. ბანკეტს დაესწრენ ო. უორდროპი, პოლკ. რეი, პოლკ. გაბბა, სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობათა თავმჯდომარეები ხატისოვი და უსუბეკოვი და ამ რესპუბლიკათა სახელმწიფო წარმომადგენლები. დაესწრენ ნ. რამიშვილი, კ. კანდელაკი, სვ. მდივანი, გენერლები გედევანიშვილი და ოდიშელიძე, ნ. ქარცივაძე, დ. ლამბაშიძე, მ. ალშიბაია, დამფუძნებელი კრების ფრაქციების წარმომადგენლები. პირველი სადღეგრძელო წარმოთქმულ იქნა ბანკეტის თავმჯდომარის დ. ლამბაშიძის მიერ უსუბეკოვისა და ხატისოვის პატივსაცემლად. პოლკ. რეიმ უსურვა წარმატება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. არტისტმა ი. სარაჯიშვილმა შეასრულა იტალიანური რომანსები, შემდეგ მანვე ბ. ინაშვილთან ერთად შეასრულა დუეტი „აბესალომ და ეთერიდან“. ა. ხატისოვმა თავის სიტყვაში სიამოვნებით აღნიშნა, რომ უწინდელი არამეგობრული განწყობილება ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის საკეთილოდ შეიცვალა. ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ მეგობრული დამოკიდებულება სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის უფრო მკვიდრი და მჭიდრო იქნება. ის შეეხო აგრეთვე საქართველოსთან დამოკიდებულებას და აღნიშნა, რომ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიამ გადაჭრით მოითხოვა სომხეთის მთავრობისაგან ახლო კავშირის დაჭერა საქართველოსთან. ჩვენი შეურყეველი მიზანია დამოუკიდებლობის დაცვა და ამ ჩვენს იდეალს ყველაფერს ვანაცვალებთო. უსუბეკოვმა აღნიშნა, რომ მას ღრმადა სწამს სოლიდარობა და ინტერესთა თანხმობა ამიერ-კავკასიის ერთა შორის და იმედი გამოსთქვა, რომ ეს სოლიდარობა უფრო მტკიცე შეიქმნება, უფრო იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიის ერებს აერთებს ერთი მიზანი—ეს არის დამოუკიდებლობის დაცვა. დაბოლოს ე. გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ არის უმნიშვნელო წინააღმდეგობანი ამიერ-კავკასიის ერთა შორის, მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს უთანხმოების საფუძვლად. მან გამოსთქვა იმედი, რომ ამიერიდან ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკა მიმართული იქნება უმთავრესად ამავე ერთა სოლიდარობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. ამის შემდეგ ევ. გეგეჭკორმა უსურვა დ. ლამბაშიძეს კეთილი მგზავრობა. დ. ლამბაშიძე იმავე ღამეს გაემგზავრა ინგლისში. ბანკეტი საღ. 9 ს. დასრულდა.

◆ **ტყეები და მიწის ნორმა.** დამფუძნებელი კრების აგრარულ კომისიამ დაადგინა დამფუძნებელ კრებაში შეიტანოს დეკრეტის პროექტი, რომლის მიხედვითაც წვრილ მესაკუთრეებს მიწის ნორმაში უნდა მიეზომოთ ისეთი ტყეების ნაწილები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ ღირებულებას, როგორც მაგალითად ტყის ნაკვეთები, ბუჩქ ნარიანი ადგილები, სოფელში მდებარე ტყეები და სხვა.

◆ **მისალმების დეპეშა.** დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. მდივანმა სომხეთისა და ადერბეიჯანის პარლამენტების თავმჯდომარეებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „საქართველოს დამფუძნებელი კრება ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს რა 21 ნოემბრის დამფუძნებელი კრების სხდომაზე, ხატისოვის, უსუბეკოვისა და გაჯინსკის სახით, სომხეთისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა წარმომადგენლების ერთად დასწრებას, რომელნიც ჩამოვიდნენ საქართველოს დედაქალაქში რათა მშვიდობიანათ მოეგვარებიათ სამწუხარო და მთელი ამიერ კავკასიისათვის დამღუპველი რესპუბლიკათა შორის მომხდარი შეიარაღებული შეტაკება, მიესალმება ადერბეიჯანისა და სომხეთის პარლამენტებს და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ორივე რესპუბლიკების ხალხი ამიერ-კავკასიის საერთო ინტერესთა შეგნებით საბოლოოთ შეთანხმდებიან და მით მკვიდრ საფუძველს დაუდებენ მშვიდობიანობას და ერთობას მთელ ამიერ კავკასიის დემოკრატიის საკეთილდღეოდ“.

◆ **ბათუმიდან შვეიცარიის დიპლომატიურ** წარმომადგენელ მეირისაგან 23 ნოემბერს ევგ. გეგეჭკორმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჩემი თანამემამულენი, სტოვებენ რა საქართველოს დროებით, მთხოვენ გადავცე მადლობა საქართველოს მთავრობას და ხალხს იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც საქართველოში ყოფნის დროს გაგვიწიეს“.

◆ **მატარებლის გადავარდნა.** 23 ნოემბერს კახეთის რკინის გზაზე სად. ბადიაურიდან 90 ვერსზე, ლიანდაგს გადასცდა ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონი. მსხვერპლი არ არის. დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მოსულა.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოდ.** ჩვენს რედაქციას მრავალი წერილები და დეპეშები მოსდის იმის შესახებ, თუ როდის იქნება გატარებული ჯამაგირების მომატების საკითხი. ეს საკითხი გადაწყდება დამფუძნებელ კრებაში ამ ერთ კვირაში.

◆ **„სურათები ზღაპრები“** დაიბეჭდა და იყიდება ქართული საყმაწვილო გამომცემლობის „სურათები ზღაპრები“-ს გამოცემა № 5 „ყვავი, ბუ და მელაკუდა“. ფასი 5 მ. გამომცემლობის საწყობი: თფილისში: ყიფიანის ქუჩა № 17 ჯაფარიძესთან, ქუთაისში: ბალახვანი, მ. დუნდუას ქალთა გიმნაზიაში.

### პროვინციის ქრონიკა.

**ოზურგეთი.** 16 ნოემბრისთვის დანიშნული იყო ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა, მაგრამ ყრილობა არ შესდგა დელეგატთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო. მიზეზი დელეგატების დაუსწრებლობისა ის იყო, რომ მასწავლებლებმა ხალხთან ერთად მიიღო მონაწილეობა ავანტიურისტულ ბოლშევიკურ ანარქიასთან ბრძოლაში. ამიტომ ყრილობა ხელმეორედ დანიშნულია 30 ნოემბრისათვის. გამგეობის დაბეჯითებითი თხოვნაა, ყოველ მიზეზს გარეშე, გამოცხადდენ დელეგატები ყრილობაზე აღნიშნულ დღეს, რომ კვლავ არ მოხდეს ყრილობის გადადება.

## ბათუმი

**ქალაქის საბჭოს დათხოვნა.**

ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორმა კუკ კოლისმა დაითხოვა ბათუმის ქალაქის საბჭო. ახალი საბჭოს არჩევნები უნდა მოხდეს არა უგვიანეს თებერვლისა. მისივე ბრძანებით შესდგა ქალაქის დროებითი გამგეობა შემდეგი პირებისაგან: ჯავახიშვილი, ლორთქიფანიძე, ტოროსოვი. ერთი ინგლისელი აფიცერთაგანი დანიშნული იქნება ზემოხსენებულ გამგეობის თავმჯდომარეთ. ქალაქის გამგეობას დაეხმარებიან ახლად შემდგარი შემდეგი კომისიები: სარევიზიო, ფინანსიური, სამკურნალო სასანიტარო, სასკოლო, იურიდიული, ტეხნიკური და სიძვირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია.

## საად.-მამულო რეფორმა

— დიღომის სარაიონო კომისიამ (თფილისის მაზრა) დაასრულა მიწების დანაწილება და მიწათმოქმედების სამინისტროს წარმოუდგინა პროექტი საფონდო მიწების დაყოფისა და შეფასებისა. პროექტის თანახმად რაიონში განაწილებულია 4482 დეს. და 652 კ. ს., რომელიც შეღავათიან ფასების მიხედვით შეფასებულია 2.840.793 მანეთად.

— მანგლისის სარაიონო კომისიისაგან (თფ. მაზრა) წარმოდგენილი პროექტით მანგლისის რაიონში განაწილებულია 3154 დეს. 662 კ. ს. საფონდო მიწა, რომელიც შეფასებულია 1.281 600 მანეთად. ხარისხების მიხედვით მიწები ასეა დაყოფილი: პირველი ხარისხის 8 დ. 120 კ. ს. 2 ხარისხის 189 დ. 1638 კ. ს. 3 ხარისხის 1635 დ. 944 კ. ს. და მე-4 ხარისხის 1321 დ. 360 კ. ს.

— სართიჭალის რაიონში (თფ. მაზ.) კომისიას გაუნაწილებია: პირველი ხარისხის საფონდო მიწა 113 დეს. 1540 კ. ს მე 2 ხარისხის 2255 დ. 220 კ. ს. მე 3 ხარ.—734 დ. 930 კ. ს., სულ—3103 დ. 690 კ. ს., რომელიც შეფასებულია—2832.640 მანეთად.

— საგარეჯოს რაიონში (თფ. მაზრა) კომისიას გაუნაწილებია: მეორე ხარისხის 1116 კ. ს. და მესამე ხარისხის—89 დ. 1070 კ. ს., სულ 1206 დეს. 470 კ. ს., რომელიც შეფასებულია 1.188.220 მანეთად.

ვინაიდგან დიღომის რაიონის გარდა კომისიებს ყველგან მინიმალური შეღავათიანი ფასები აქვთ აღებული, მიწათმოქმედების მინისტრმა სასურველათ სცნო წარმოდგენილი ჯამის 10—20 პროცენტით გადიდება.

## ახალი წიგნები

II

„На рубежѣ“, № 1 „ვოლნი სოიუზის« გამოცემა.

ქართველ დემოკრატიას არას დროს არ დაავიწყდება ის მტრული, ან და პირდაპირ ბოროტი განწყობილება, რომელიც დაიჭირა ზოგიერთმა, უმეტესათ, არა ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფმა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკისადმი. დღეს აშკარათ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მყოფ უცხო, არაქართველ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა ვერ შეურიგდა ჩვენ დემოკრატიის არსებობას, განუკითხავათ შეებრძოლა მის შემოქმედებას, მის სიცოცხლისადმი წყურვილს; აგერ წელიწადნახევარია, რაც ეს ბრძოლა წარმოებდა, რაც დრო გადიოდა მით უფრო მწვავდებოდა. ეს იყო ინტელიგენტთა არა მარტო ბურჟუაზიული ჯგუფები, არამედ, სამწუხაროთ, სოციალისტური და დემოკრატიული.

ეს უნდა იცოდეს ისტორიამ. პირუთვნელი მომავალი შესაფერათ განსჯის მათ, ის შავი ასოებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩვენში იყო ხალხი, რომელიც თავის თავს უწოდებდა არა მარტო დემოკრატს, სოციალისტს, უკიდურეს მაქსიმალისტს და კომუნისტს, ხალხი რომელიც თავს იყრიდა „სოც.-დემოკრატის“ და „ზნამია რევოლიუციის“ გარშემო და რომელმაც მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობა გაატარა ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში. შოვინიზმი, იმპერიალიზმი, ღალატი—აი როგორ ახასიათებდნენ ეს ჯგუფები ქართველი ხალხის ტრაღიკულ მდგომარეობას, მის გიგანტურ მუშაობას, რომელსაც მიზნათ ქონდა და აქვს რევოლ. გადარჩენა, სამშობლოს სამშვიდობოს გამოსვლა საერთაშ. ჭიდილიდან. ამ ჯგუფებმა ოდნავათაც ვერ, ანდა, უფრო არ მიუახლოვდნენ ჩვენი დემოკრატიის ტკივილებს, არ მოისურვეს მისი, ყველა სოციალისტისთვის მისაღები სურვილების მიღება.

ასე მოგვეპყრა ჩვენ, სამწუხაროთ,

არაქართველ ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა. ამან ჩვენ დამოუკიდებლობას დიდი ზიანი მოუტანა, ეს უმადური საქმიანობა ნიადაგს უმზადებდა ჩვენში ნაციონალისტური ატმოსფერის შექმნას.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში, ჩვენდა სასიხარულოთ, ჩვენს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამოქმედდა ახალი ჯგუფი, შემდგარი უმეტესათ უცხო, არაქართველ მოღვაწეებისაგან, რომლის მიზანია ერთი მხრით „თეორიულათ და პრაქტიკულათ დაცვა ხალხთა უფლებების—თავისი ეროვნული ცხოვრების თავისუფლათ შენების და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა“ და მეორეს—„პროპაგანდა ყოფილ რუსეთის იმპერიის ხალხთა ახლათ შექმნილ სახელმწიფოების შეკავშირება ცენტრალისტურ რეაქციის წინააღმდეგ დემოკრატიათა საერთო ბრძოლის ნიადაგზე“.

ამ ჯგუფის ორგანოს პირველი ნომერი „ნა რუბეჟე“ გამოვიდა ამ დღეებში. ჟურნალის უმთავრესი მიზანია ეროვნული საკითხი, ის უმთავრესათ ყურადღებას აქცევს ყოფილ რუსეთის იმპერიის ერთა ბედს. ჟურნალის მესვეურთა სასიამოვნო მხარეს შეადგენს მათი პირდაპირობა, საკითხის გადაჭრით და არა ორაზროვანათ, მიკიბულ მოკიბულათ დაყენება.

„როგორ ვუყურებთ ჩვენ ცალკე, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მყოფ, ერთა თვითგამორკვევის უფლებას?“—კითხულობს ჟურნალის მოწინავე და იძლევა კატეგორიულ ფორმაში დადებით პასუხს ამ დიდ კითხვაზე. მოწინავე აღნიშნავს რა, რომ მისთვის ეროვნული საკითხი და უფლება თვითგამორკვევისა არის ამავე დროს საკითხი პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისა, ამბობს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნება წარმოადგენს ყოველი ცალკე ადამიანის პიროვნებისათვის იმ საკვებ გარემოს, საიდანაც ის ღებულობს თავის სულიერ განვითარებისათვის მდიდარ მასალას. თავისი ეროვნების, თავის განუწყვეტელ კავშირის შეგრძნობა აწმყოსა და მომავალთან ამა თუ იმ ადამიანთა კომპლექტისა შეადგენს, ჩვენის აზრით, მძლავრ სტიმულს პიროვნების შემოქმედებისა; მისი მუშაობის ეროვნულ კულტურის გაუმჯობესობა და ეროვნულ კულტურის საკაცობრიო კულტურასთან შესისხლხორცებაზედ“.

ამგვარად ჟურნალის ხელმძღვანელთათვის სრულიად უდავოა ერთა სრული თვითგამორკვევა. მაგრამ, მათივე ფიქრით, ყველას თვითგამორკვევის ნიადაგზე აღმოცენებულ ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულებს მოელის დიდი საშიშროება სამი მხრიდან: მათ ემუქრება ერთის მხრით მსოფლიო რეაქცია, მეორეს დენიკინის ხიშტები, მესამეს კი ლენინის „კომუნიზმი“. „დენიკინის გამარჯვება ლენინზე—ვკითხულობთ მოწინავეში—ისე, როგორც ბოლოს და ბოლოს ლენინის გამარჯვება დენიკინზე საფრთხეს უმზადებს არამც თუ დემოკრატიულ წესწყობილებას, არამედ დაღუპავს ეროვნულად თვითგამორკვეულ ერთეულებს“. ამიტომ ჟურნალის რჩევაა ყველა ახლად აღმოცენებულ მცირე ერთა სახელმწიფოების მიერ საერთო ინტერესის შეგნება, მათი შეკავშირება (объединенiе) და მძლავრი კედლის შექმნა ამ სამი მხრიდან მოსულ რეაქციის ტალღების შესაჩერებლად.

ჟურნალში არის მოთავსებული მეტად საინტერესო, პრინციპიალური, ასე ვთქვათ ჟურნალის საპროგრამო, წერილი „ერთათ ერთი გამოსავალი“ ბ-ნ ვადიმ ჩაიკინისა. აქ, როგორც მოწინავეში, მაგრამ უფრო ვრცლად, ავტორი არკვევს უმთავრეს პრობლემას. ბ-ნი ჩაიკინი ძალიან მოხერხებულად, პირველ ხარისხოვან ფაქტებით ხელში, შეუბრალებლად ააშკარავებს ევროპის დიპლომატიის ვერ გულ, ორმაგ პოლიტიკას რუსეთის საკითხში, დენიკინის ფარისევლობას, მის შავრაზმულ ზრახვებს რუსეთის მომავალ წესწყობილების საქმეში და ლენინის კომუნისტურ იმპერიალიზმის მიდრეკილებას. სად არის გამოსავალი? კითხულობს პატივცემული ავტორი და იძლევა ასეთ პასუხს:

„აუცილებლათ დაუყონებლივ უნდა მოხდეს გაერთიანება დენიკინ კოლჩაკის შავი რეაქციის წინააღმდეგ ყველა ტერიტორიებისა და ახალ სახელმწიფოთა, „ზღვიდან ზღვამდე“, დაწყებული ბაშკირეთიდან, კირგიზეთს, დაუსრულებელ თურქესტანიდან, გაგრძელებული ადერბეიჯანით, მთიელებით, საქართველოთ და სომხეთით, შავის ზღვის ნაპირებით, ყუბანით და უკრაინით და გათავებული ლიტვათი, ბელორუსიით, ლატვიით, ესტონიით და ფინეთით“. რა ხასიათი უნდა ქონდეს ამ გაერთიანებას?

„ეს ჭეშმარიტათ თავისუფალი კავშირი თავისი ეროვნული „მე“ ს შემცნობ ხალხებისა, რომლებიც არ ისახვენ არავითარ გარეშე მიზნებს, გარდა რეაქციისა და გაბატონებულ ერის მიდრეკილების წინააღმდეგ ბრძოლისა, უნდა შეიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ ერთეულებს“. (ხაზი ავტორისაა).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ჩაიკინი ამ, როგორც ის უწოდებს, „თავისუფალ კავშირს“ არ აძლევს არავითარ თეორიულ ხასიათს ერთა ურთიერთობისა, არამედ ის მიაჩნია დროებით პრაქტიკულ საშუალებათ თვითგამორკვეულ ერთა საბრძოლველათ მსოფლიო და რუსეთის რეაქციის წინააღმდეგ, ამ გარემოებას ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს. ამ მხრით მას თითქმის უსარგებლოთ და დრო მოჭმულათ მიაჩნია ახლად შექმნილ სახელმწიფოთა მუდმივ ფედერატიულ დემოკრატიული შეკავშირების შესაძლებლობაზე ლაპარაკიც კი,

ამ საკითხში საინტერესოა რუს ინტელიგენტის გულწრფელი და პირდაპირი განცხადება. ბ-ნი ჩაიკინი სწერს: „ამ მწვავე და საჭირ ბოროტო (ფედერაციის ა. ჟ.) საკითხის შესახებ უსათუოდ დადგა დრო, რომ აზრი გამოითქვას საკმაო პირდაპირობით და გარკვევით, თუმცა შეიძლება ასეთი გარკვეულობა ბევრს გულწრფელ ფედერალისტს მოეჩვენოს მის საუკეთესო სურვილების წინააღმდეგ მიმართულათ“.

დღეს ბ-ნ ვ. ჩაიკინს ფედერაცია განუხორციელებლათ მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, დიდი, გაბატონებული ერის (великодержавie) ფსიხოლოგიით გამსჭვალულია არამც თუ ველიკოროსთა ბურჟუაზიული წრეები, არამედ მისი რევოლიუციონური ინტელიგენცია, მოწინავე გლეხობა და, ასე გასინჯეთ, სამრეწველო პროლეტარიატის ნაწილიც და მისი გამომხატველი სოციალისტები. ამის ღრმა მიზეზი, ავტორის აზრით, სძევს რუსეთის ისტორიის თავისებურ პირობებში.

ასეთია გულწრფელი აღსარება რუს ინტელიგენტისა. ამიტომაც ის ნაჩვენებ „თავისუფალ კავშირს“ აძლევს არა მუდმივ, არამედ დროებით, პრაქტიკულ, დენიკინ ლენინის რეაქციის წინააღმდეგ მიმართულ საშუალების ხასიათს. ასეთ კავშირის წინააღმდეგ კი მიუხედავათ მისი განხორციელების დიდ სიძნელისა, როგორც ამას თვით ბ. ჩაიკინი აღნიშნავს, პრინციპიალურათ არ შეიძლება იყოს, რასაკვირველია, არც ერთი ნამდვილი დემოკრატი და სოციალისტი, მით უფრო, რომ ასეთ კავშირს ის საფუძვლათ ეკონომიურათ გაერთიანებას უდებს.

დასასრულ, ჟურნალში მოთავსებულია ერთი საინტერესო შენიშვნა სათაურით: „პასუხისმგებელი მომუშავენი“.

შენიშვნა ეხება ადგილობრივ ციხეში მოთავსებულ ბალშევიკების ლიდერების წინადადებას—ისინი კისრულობენ შუა კაცობას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის და საბჭოთა მთავრობის, კომუნისტური პარტიის შორის. ამ ვაჟბატონებს თავიანთი შუაკაცობა უკისრია სწორეთ იმ დღეებში, როდესაც მათივე ხელმძღვანელობით ჩვენში მზადდებოდა შეიარაღებული გამოსვლა ჩვენი მთავრობის დასამხობათ. შენიშვნის ავტორი აღნიშნავს რა „შუაკაცების“ მხრით საურთიერთო დამოკიდებულებაში ელემენტარულ სინიდისის და ადამიანურ ღირსების არ ქონებას, სწერს:

„შეიძლება სხვადასხვანაირათ დავაფასოთ საერთო მიმართულება საქართველოს მთავრობის პოლიტიკისა და ხასიათი მისი სახელმწიფოებრივი მართველობის მეთოდისა, მაგრამ არ შეიძლება უარვყოთ ორი უდავო ფაქტ სინამდვილისა: საქართველოს მთავრობა ეყრდნობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს—დამფუძნებელ კრების—ნებას, და ეს ორგანო, როგორც მტრების, ისე მოყვრების საერთო შეხედულობით გამოხატავს მცხოვრებთა უმრავლესობის ნებას.

ასეთ პირობებში ბალშევიკ-კომუნისტთა „პასუხისმგებელ მომუშავეთა“ მიერ გადადგმული ნაბიჯს, რომელიც არღვევს ყოველნაირ ომის ყოველნაირ კანონს, უნდა შევხედოთ, ობიექტიურათ, თვით ბალშევიკური თეორიის იდეოლოგთა თვალსაზრისით, როგორც მოღალატურ აქტს არა მარტო საქართველოს მთავრობის, არამედ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულს.“

ჩვენ სიამოვნებით მივესალმებით ახალ ორგანოს გამოსვლას და ვუსურვებთ მის ხელმძღ. ხელიდან არ გაეშვათ ის დროშა, რომელზეც აწერია ერთა თვით გამორკვევა მათი სუვერენიტეტი და თავისუფალი შეკავშირება.

ალ. ჟორჟოლიანი.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

## რუსეთი

**მოხალისეთა ჯარი და საქართველო**

გენერალმა დენიკინმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „რადგანაც რუსეთის კომერციული გემები არ ასრულებენ იმ დადგენილებას, რომლითაც მათ ეკრძალებათ კავკასიის ნაპირების შავი ზღვის პორტებში შესვლა, რომელიც დაკავებული აქვთ ქართველებს და აგრეთვე სურსათის შეტანა ბათუმში სათანადო ნებადაურთველათ,—ვბრძანებ: 1) აიკრძალოს ყველა კომერციულ გემებს იმ პორტებში შესვლა, რომელიც დაკავებული აქვთ ქართველებს, 2) აიკრძალოს რუსეთის კომერციულ გემებზე საქონლის შეზიდვა ბათუმში სათანადო ნებადაურთველად; 3) შავი ზღვის ფლოტის უფროსს ებრძანოს გასცეს განკარგულება, რათა დათვალიერებულ იქნეს რუსეთის კომერციული გემები და მით გაგებულ იქნეს ამ გემების მოგზაურობის მიზანი, 4) რუსული კომერციული გემები, რომელნიც არ შეასრულებენ ამ ბრძანებას, გაგზავნილ იქნენ სამხედრო პორტებში, როგორც თვით გემების, აგრეთვე საქონლის კონფისკაციისათვის. 5) კონფისკაციის წესის მოხდენისათვის შემდეგში გამოცხადდება დამატებითი განმარტებანი“.

**კონფლიქტი „დობროვოლია“ ხა და ყუბანს შორის.** ამ დღეებში ყუბანის მთავრობას ჯარის ატამანის მონაწილეობით ჰქონდა თათბირი მოხალისეთა ჯარის მიერ გამოცხადებულ ყუბანის ბლოკადის შესახებ, სადაც მთავრობის წევრის მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება: ფაქტიური ბლოკადა ჩაითვალოს ყუბანის ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე თავდასხმათ მოხალისეთა ჯარის მხრივ; ვინაიდან საჭიროა საერთო ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, შექმნილ იქნეს განსაკუთრებული ორგანო პარიტეტულ წარმომადგენლობის წესით, რომელიც მოაწესრიგებს საგარეო ვაჭრობის საკითხებს; მოხალისეთა მხრივ ამ ორგანოში მონაწილეობის საკითხი გადაიდოს მანამდე, სანამ გაუქმებული არ იქნება დენიკინის განკარგულებები საქონლის გატანისა და შემოტანის შესახებ. აღნიშნული დადგენილება ეცნობა დენიკინს, დონისა და თერგის ატამანებს.

**ყუბანის რადაში.** ეკატერინოდარიდან მიღებულ ცნობის თანახმად ყუბანის რადის კავკასიის განყოფილების სახელით კაპლინმა განაცხადა, რომ ბიჩის პასუხისგებაში მიცემა დენიკინის მიერ დარღვევაა ყუბანის კანონებისა; ამიტომ მან წინადადება შეიტანა, რათა შეწყვეტილ იქნეს მოლაპარაკება მოხალისეთა წარმომადგენლებთან, სანამ გაუქმებულ არ იქნება ხსენებული განკარგულება; ამით ფერხდება ყუბანის მონაწილეობის საკითხის გადაჭრაც საერთო მთავრობის შესაქმნელათ მოწვეულ სამხრეთ რუსეთის კონფერენციაზე.

**საბჭოთა რუსეთში.** ამერიკის გაზეთ „ვორლდის“ კორესპოდენტს საუბარი ჰქონია ლენინთან. კორესპოდენტის კითხვაზე—შესაძლებელია თუ არა შეთანხმება ბალშევიკებისა და მემარცხენე პარტიებს შორის,—ლენინს უპასუხნია: „პრინციპიალურად ასეთი შეთანხმების წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს. ჩვენ მომხრე ვართ გავაუქმოთ „ჩრეზვიჩაიკები“, საბჭოში შემოვიყვანოთ სოც.-დემოკრატ მენშევიკები და მემარცხენე ს.-რევოლიუციონერები, თანახმა ვართ სოციალიზაციის და ნაციონალიზაციის კითხვა შევარბილოთ, მომხრე ვართ აგრეთვე უცხოელებს მივსცეთ კონცესიები და საერთოდ შევამსუბუქოთ რეჟიმი იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო ომი შეწყდება, ოღონდ საბჭოთა ძალა უფლება კი უნდა დარჩესო. მენშევიკები მოითხოვენ ამ ჟამათ ყველა მემარცხენე ჯგუფების საბჭოში შეყვანას, ჩვენ შეიძლება ამათში დავუთმოთ, თუ კი ობიექტიურმა პირობებმა გვაჩვენეს, რომ ამ დათმობით შეიძლება სამოქალაქო ომის შეწყვეტა. შეკითხვაზე—შეიძლება თუ არა გერმანია-რუსეთის კავშირი?—ასეთი კავშირი ფორმალურათ შეუძლებელია, ისე კი, გერმანელი ინსტრუქტორები მუშაობენ ჩვენს სამეურნეო და სამხედრო დარგებშიო,—უთქვამს ლენინს.

**მოსკოვის უმუშევართა კასა.** მოსკოვის საქალაქო კასიდან 1 აპრილიდან 1918 წ. მარტის 31 1919 წ. დახმარება მიუღია 37663 უმუშევარს—13,132 მამაკაცს და 24,531 დედაკაცს. ამ საერთო რიცხვიდან პროფესიაონალურ კავშირის წევრებათ ყოფილან 30,017 კაცი ე. ი. 79,7 პროცენტი უმუშევართა საერთო რიცხვისა. საანგარიშო ხნის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზისა გამო არავითარი დახმარება არ მიუღია 11,954 უმუშევარს.

**თურქესტანში** ბაქოს გაზეთების ცნობით თურქესტანში სპარსეთის საზღვარზე ბალშევიკები უკანასკნელ ხანებში დიდ მუშაობას აწარმოებენ; მათ აკრძალეს თურქესტანიდან სპარსეთისაკენ მგზავრობა. ბალშევიკთა შეიარაღებულ ძალების უფროსმა ბრძანება გასცა, რათა მშვიდობიანი მცხოვრებლები რკინის გზის ლიანდაგიდან 5 ვერსის მოშორებით იქნენ გადასახლებულნი. ახლო მომავალში თურქესტანში მოსალოდნელია დიდი შეტაკებები.

**გენ. იუდენიჩის საქმე ცუდათაა.** მოხალისეთა ჯარის გაზეთ „გოლოს როს.“ ცნობით ბალშევიკების წინააღმდეგ ბალტიის მხარეში მომქმედ მოხალისეთა ჯარის უფროსის—გენ. იუდენიჩის საქმე მეტათ ცუდათაა. ინგლისის დახმარება, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდენ, ძალიან მცირეა; ინგლისელებს არ შეუძლიათ ბრძოლაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ არც ზღვაზე და არც ხმელეთზე; მათი დახმარება ბალტიის ზღვისა და ფინეთის ყურეს ბლოკადით განისაზღვრება. გენ. იუდენიჩს საგრძნობ დახმარებას გაუწევდენ ესტონია და ფინლიანდია იმ შემთხვევაში, თუ დენიკინი და კოლჩაკი იცნობდენ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას. ბალშევიკები ამჟამათ ცდილობენ იუდენიჩის არმიის ქ. გდოვიდან მოვლას; ეს ოპერაცია საბოლოოთ გადასწყვეტს პეტროგრადის ბედს. ლონდონიდან მოსულ უკანასკნელი ცნობების თანახმათ გენ. იუდენიჩმა სარდლობას თავი დაანება და მის ალაგას გენ. ხაიდონერი, ესტლანდიის ჯარების სარდალი, დაინიშნა.

**ბალშევიკების შეპყრობა ადეხაში.** გემ „გეორგი“ ზე დატუსაღებულ იქნა 18 ბალშევიკი, მათ შორის საბჭოთა პირველი პოლკის უფროსი თავადი დადიანი.

**წოდების აღდგენა დონში.** დონის სენატის დადგენილებით დონში აღდგენილ უნდა იქნას ყველა წოდებრივი ხარისხი და დაწესებულებანი.

**ტყვეები არ მოჰყავთ.** მოხალისეები მთიელთა აულებს ანადგურებენ. გადასწვეს ჯამაგენტი, კიაგენტი, გუდერმესი, სრისი, ენგელ ურტი და ხამა ურტი. მოხალისეთა რაზმები დაჭრილ მთიელებს ხიშტებით ხოცავენ, ტყვეებს არ მიყავთ, არამედ იქვე ბრძოლის ველზე უსპობენ სიცოცხლეს. მასთან დაღესტნელები თავიანთ თვალით უყურებენ, როგორ უსპობენ სიცოცხლეს მოხალისეები ტყვედ ჩავარდნილ დაჭრილ მხედრებს. მოხალისეები თავიანთ მოქმედებით საშუალო საუკუნის ბარბაროსებს უფრო უახლოვდებიან, ვიდრე მე XX საუკუნის ხალხს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც დაღესტნელებთ ტყვეთ ყავთ წამოყვანილი 2 პოლკოვნიკი, 48 აფიცერი და 1500 ყაზახი. დაღესტნელები ტყვებს ისე ეპყრობიან, როგორც სხვა კულტურულ სახელმწიფოებში. თუ მოხალისეებმა არ შესწყვიტეს ტყვეების დახოცვა, მაშინ შესაძლებელია ამ გარემოებამ გააუარესოს ტყვეთ ჩავარდნილ ყაზახების ბედიც.

# პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში

23 ნოემბერს ა. ხელაძის თავმჯდომარეობით შესდგა მუშათა კლუბში არაჩვეულებრივი კრება საბჭოსი და ყველა კავშირების გამგეობის წევრებისა. მრავალრიცხოვან კრებას გასარჩევი ჰქონდა: მთავრობის სავალდებულო დადგენილება თფილისის ზედმეტი ელემენტებისაგან დაცლის შესახებ. მოხსენებას აკეთებს ა. ხელაძე, რომელიც ამბობს, რომ მსოფლიო ომმა ძირიან ბუდიანად შეარყია ძლიერი სახელმწიფოების ეკონომიური და სოციალური დარგები. ეს უბედურება ვერ ასცდა ჩვენ ნორჩ რესპუბლიკასაც და ჩვენ დღეს ვიმყოფებით სიმშილის წინაშე. ამ ულმობელ საფრთხეს კი ჩვენ უნდა გავცეთ შესაფერისი პასუხი, და ჩვენი დემოკრატია ფეხზე დავაყენოთ, რომ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის საქმიანობას ამ დარგში ხელი შევუწყოთ. თფილისის მუშა ხალხი დღეს განიცდის დიდ კრიზისს სურსათის და ბინების უქონლობის გამო. მთავრობის სავალდებულო დადგენილებაც სწორეთ იმიტომ ასახლებს ყველას, განურჩევლათ ეროვნებისა, ვინც კი არ არის დაკავშირებული თფილისთან საქმით ან სამსახურით; ამ საქმეში ჩვენ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა და ამით ხელი შევუწყოთ უმტკივნეულოთ გავატაროთ დეკრეტი ცხოვრებაში. ილაპარაკეს: შ. აბდუშელიშვილმა, ვ. ჩხენკელმა, საფარიანმა და სხვებმა. კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია: თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ყველა კავშირების გამგეობის წევრთა შეერთებულმა კრებამ განიხილა რა მთავრობის სავალდებულო დადგენილება თფილისიდან უსაქმოთ დარჩენილ ელემენტების გადასახლების შესახებ, იწონებს მთავრობის ნაბიჯებს და მოუწოდებს თფილისის მშრომელ ხალხს, დაეხმაროს ამ საქმეში, როგორც მთავრობას, ისე ყველა კომისიებს უმტკივნეულოთ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ. კავშირები სთვლიან საჭიროთ დაარსდეს კონტროლი გადასახლების საქმეში და აგრეთვე, მოწმობები მუშაობის შესახებ, რომელსაც აძლევს საქმის მიმცემთა ადმინისტრაცია, უნდა იყვეს შემოწმებული მუშების ორგანიზაციების მიერ.

ამასთანავე კავშირები გამოთქვამენ იმედს, რომ ის ბინები, რომელიც დაიცლება, მიეცემათ პირველ რიგში უბინაოთ დარჩენილ მუშებს. გაიგზავნოს პროფეს. კავშ. საბჭოდან წარმომადგენელი ცენტრალურ ქალაქს თვითმართველობასთან არსებულ კომისიაში.

საუბნო კომისიებში აირჩიეს წარმომადგენლებათ გადამწყვეტი ხმით: ლევინარაისა, თოფაძე კონსტანტ., ბუაჩიძე დავით, ბიბილეიშვილი ვარლამ, ხოზელავა პეტრე, აბაშვილი ფ., ხუბაშვილი ი., კაიტანჯიანცი, კალანდაძე მელიტონ, იობაშვილი და ძაგნიძე. კანდიდატებათ: ბოკერია, ჩიქოვანი და თავდგირიძე. კავშირების საბჭოსთან დაარსდა საკანტროლო კომისია, სადაც უნდა მიმართონ ყველა კავშირებმა და მუშებმა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ. ამ კომისიაში სეკრეტარიატმა აირჩია: გიორგაძე, საგირაშვილი და ჩხარტიშვილი. შეერთებულმა საბჭომ კი ს. დობორჯგინიძე, ლაცაბიძე, ბერეჟიანი და სლუცკი. კანდ. კიკნაძე, მაჩაიძე და დვალი.

ამხ. ათაბეკ ტუმანმა გააცნო ქალაქის თვითმართველობის შრომის კომისიის განზრახვა სურსათის საქმის მოგვარების და იაფ-ფასიანი სასადილოების და საჩაიების გახსნის შესახებ და სთხოვა კრებას 26 ნოემბრისთვის საღ. 7 საათ. ქალაქის თვითმართველობაში კრებაზე დასასწრებლათ ამოერჩიათ წარმომადგენლები. აირჩიეს: კორძაია, მასლიცკი, კოკოჩაშვილი, ხერხეულიძე და მაგზენზონი, ქალაქის თვითმართველობის შრომის კომისიაში მუდმივ წევრათ ბერეჟიანი.

თ. ლაცაბიძე.

# მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესი

შუადღის 12 ნახ. საათზე კონგრესი გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ფურაქაშვილმა, რომელიც მიესალმა კონგრესს და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. ფურაქაშვილი კომიტეტის სახელით ასახელებს პრეზიდიუმის შემადგენლობას, რომელიც კონგრესმა ერთხმად დაამტკიცა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: საპატიო თავმჯდომარეთ პროფესორი მელიქიშვილი, თავმჯდომარეთ ნ. ნიკოლაძე, ამხანაგებათ ი. ანდრონიკაშვილი და ი. ფურაქაშვილი, მდივნებათ—კ. ბერეკაშვილი, ს. ჩოლოყაშვილი, თ. მეგრელიშვილი და ნ. ზირაქიშვილი.

ნ. ნიკოლაძემ დაიჭირა რა თავმჯდომარის ადგილი და სამადლობელი სიტყვით მიმართა კონგრესს, აღნიშნა ის დიდი საქმე, რომელიც კონგრესმა უნდა გაარჩიოს. ხაზი გაუსვა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას ჩვენში და იმას თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა მას ძველად საქართველოსათვის. მან იმედი გამოსთქვა, რომ მეღვინეთა და მევენახეთა შეკავშირება დიდათ შეუწყობს ხელს ამ დარგის განვითარებას და გვერდში ამოუყენებს დღევანდელ ევროპის მეურნეობას. შემდეგ წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები. მიწათ მოქმედების მინისტრის ამხანაგი პ. გელეიშვილი სამინისტროს სახელით მიესალმა კონგრესს. მან აღნიშნა ის ნაკლულოვანება, რომელსაც განიცდის საქართველო მიწის ნაკლულოვნების გამო; და ვინაიდან არ ყოფილა ისეთი წელი როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოს თავის მოსავლით ერჩინოს თავი, ამიტომ საჭიროა მეურნეობის გაუმჯობესებაო. მინისტრმა უსურვა კონგრესს ნაყოფიერი მუშაობა და სამინისტროს სახელით აღუთქვა დახმარება.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სახელით კონგრესს მიესალმა მინისტრის ამხანაგი ს. ავალიანი.

კონგრესმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს და მთავრობის თავმჯდომარეს.

კონგრესმა მოისმინა რამოდენიმე მოხსენება მევენახეობისა და ღვინის თვისებას შესახებ: სიმ. ქვარიანის, იეგოროვისა და ჩოლოყაშვილის. უკანასკნელი მოხსენების დროს დარბაზში შემოვიდა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.

**ნ. ნიკოლაძე** (თავმჯდომარე). ბატონებო! ჩვენ კონგრესს ესტუმრა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი. (კონგრესის წევრნი ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ტაშით ესალმებიან სტუმარს). მივესალმები მას და ვუსურვებ, რომ ჩვენი და მათი მოქმედება თანასწორად მიდიოდეს ყოველ დარგში. ვისურვოთ, რომ როგორც პოლიტიკური, ისე ამ დარგშიაც შეთანხმებით და ურთიერთ დახმარებით გვემოქმედნოს ორივე ერის საკეთილდღეოდ. ამის უტყუარი საბუთია მისი აქ დასწრება

**ა. ხატისოვი.** მე ძლიერ აღმაფრთოვანა თქვენგან მოპატიჟების ბარათმა; მან მე მალიამოვნა, ვინაიდან მე ვიგრძენი ნათესაური დაახლოვება. ჩვენ დიდათ ვიტანჯებოდით, რომ ჩვენს შორის არსებული გამწვავებული ურთიერთობა იყო. მაგრამ ამის მიზეზი იყო ჩვენს შორის არსებული მოუწესრიგებელი საკითხები. მაგრამ იყო ხალხი, რომელიც ფიქრობდა და გრძნობდა ამ საკითხების მოწესრიგების აუცილებლობას. და მე უნდა ვსთქვა, რომ საქართველოს და სომხეთს შორის მუდამ ძმური განწყობილება იყო, და თუ რამოდენიმე ხნის უკან გაუგებრობა მოხდა, ეს იმის მიზეზი იყო, რომ ორივე სახელმწიფოს მეთაურთ სიკეთე ს[illegible] ხალხისათვის.

დღეს სომხეთსა და საქართველოს შორის საერთო გზა გამონახულია და ამიერიდან ამ რესპუბლიკათა შორის მეგობრული განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება.

ერთი საათის წინ მე და ადერბეიჯანის რესპუბლიკის თავმჯდომარემ ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას (ხანგრძლივი ტაში). ამას დაესწრო ჩემი მეგობარი ე. პ. გეგეჭკორი და საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისრის მოადგილე კავკასიაში პოლკ. რეი. და აი, ეს არის ნიმუში კავკასიის შეთანხმებისა და ერთად სვლისა. საქართვ. და სომხეთის რესურსი მიწაშია და რასაც მიწა მისცემს ეს არის მათი სიმდიდრე სომხეთს, სადაც მოდის ბრინჯი, ყურძენი (ერევნის გუბერნიაში) და საქართველოს სადაც უხვად მოდის ყურძენი, მოდის აგრეთვე სიმინდი და პური, შეუძლიათ დამოუკიდებლათ ცხოვრება. ამათზე უნდა დაამყარონ ამ ორ სახელმწიფომ თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ბაზა. და ეხლა, როდესაც ჩვენს ბონებს ფასი არ აქვს და ჩვენ შეგვიძლია გარეშე სახელმწიფოდან საქონლის მიღება მხოლოდ საქონლითვე, ასეთ დროს უნდა ვეცადოთ და მეურნეობის აყვავებას ხელი შევუწყოთ.

მოგესალმებით მთელი სომხეთის სახელით. შემდეგ ა. ხატისოვი აწერს თუ რა სიხარული გამოიწვია ერევანში, თფილისიდან ჩასულმა პირდაპირმა მატარებელმა და თუ როგორ იქმნენ მიღებული ის 3 ქართველი კონდუქტორები, რომელნიც მატარებელს ჩაჰყვნენ. საქ პატივცემული იყო არა ისინი როგორც კონდუქტორები, არამედ ეს იყო სიმბოლო საქართველოსა და სომხეთის შეთანხმებისა. კიდევ მოგესალმებით და ჩემს სიტყვას ვათავებ სიტყვებით: „გაცოცხლოს, ვაშა საქართველოს რესპუბლიკას“.

# ქართლისაკენ

(დღიური)

14 ნოემბერი.

ღამე მთებში ჩასაფრებული ყაჩაღები ჩვენს სადარაჯოებს ესროდენ.

ნაშუაღამევს ცნობა მივიღეთ, რომ ქარელიდან გვარდიის რაზმმა შემოუარა ქედებს და მაღლობი დაიჭირაო.

მოსაწყენმა ღამემ გაიარა, გათენდა ისევ სროლით. მიღებული ცნობებით ხეობებში და მთებში დაბანაკებულთ ემატებოდა. ცხენოსანთა ერთი პატარა რაზმი მარჯვნივ წინ მიიწევდა.

გათენებისას დივიზიონის ცხენოსან გვარდიელმა ნიკ. ივანიძემ და მისმა ამხანაგებმა დაატყვევა სოფ. ჭაგნთაკარის მცხოვრები ოსი ბესარიონ თიბალაშვილი, მას აღმოაჩნდა ფრანგული სისტემის ვინტოვკა პატრონებით. მან განაცხადა, რომ იგი „პოდრაჩიკი“ იყო ტრაპიზონში, შემდეგ, ვაჭრობდა სხვადასხვა ადგილას. მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი იყო კავკაველი უცნობი ოსი, ორი ხაშურელი, რომლიდანაც ერთი მათგანი აფიცრულათ იყო გამოწყობილი. აგრეთვე მეთაურობდენ, შეიარაღებულ ძალების უფროსათ გასოთიდაშვილი, ყაჩაღი ბუზრიკიძე, ბიჩიკაშვილი. ცხინვალელი ხარებოვი, ყელეთელი ვ. ჯიოევი და სხვები. მათ შევსებული ხალხი გუნდებით დააწყვეს იარაღი დაურიგეს და ს. ხ. ასე.

ბანდიტების შეიარაღებულთა რიცხვი 11 ნოემბერს საღამოს 269 კაცი იყო სიით, მხოლოდ 12 ნოემბერს და 13 ს მათ მიემატა კიდევ 100 დე შეიარაღებული, ბრბოს რიცხვი კი 1000-დე ადიოდა.

ბესარიონ თიბალაშვილი, რომელიც „ცეპში“ ტყვეთ ჩაიგდეს, აღმოჩნდა მოწინააღმდეგეთა მებრძოლი რაზმის ერთ გუნდის უფროსი. მან საგულის ხმიერო ცნობები გადმოგვცა. ითხოვა—მაპატიეთ და ყველა მეთაურებს დაგაჭერინებთო.

დილის 9 საათზე მთებიდან სროლა აუტეხეს ჩვენს რაზმებს.

სროლამ რამოდენიმე ხანს გასტანა. შემდეგ დრო გამოშვებით ისმოდა.

გომიდან ცნობა მოვიდა, რომ გუშინ დაჭერილი ყაჩაღები ბაბლიძე და მისი ამხანაგი მილიციონერებს გაექცათ, მაგრამ დივიზიონის ცხენოსანი გვარდიელები დაეწიენ და მოჰკლესო.

12 საათზე სავლე შტაბმა ატენიდან ცნობა მიიღო, რომ ყაჩაღები სოფელს დაესხენ, კომისარი, ერობის წევრები რწმუნებული ადმინისტრაციის და სხვები, გაიტაცესო.

1 საათზე წრომის მხარეში დაჭერილ ოსებიდან ერთმა—ვ. თიბილოვმა შემდეგი მოგვითხრო: მოძრაობას სათავეში ჩაუდგა კავკაველი, მას თან ეხლა ცნობილი ყაჩაღები ცხინვალელი ქელეხსაშვილი, გომელი ფედრა გიკაშვილი, ბიჩიკაშვილი, სიმონ თედეიშვილი, გიგო ბეყოშვილი, ფსიკიძე და მრავალი სხვა.

მე თოფი და პატრონები ჩამაბარეს, ჯარში ჩამრიცხეს. ირგვლივ ყველა სოფლები შეკრეს.

კიკაშვილისა და ქარქუზაშვილის მეთაურობით დაიჭირეს და ტყეში წაიყვანეს ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმის უფროსი სვანაძე.

აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდენ ხცისის, ზღუდერის საზოგადოება და ზოგიერთი სოფლები. ქართველებიც იყვენ, მხოლოდ ესენი ძალით გამოჰყავდათ, მაგრამ იპარებოდენ.

მეთაურები გვამზადებდენ მთავრობის დასამხობათო.

ნაშუადღევს სროლა შესწყდა. ქარელიდან მომავალი რაზმი ცხენოსან ბანდიტებს ზურგში მოექცა. მათ შორის სროლა გაიმართა

რაზმი ცხენოსან გვარდიელებს შემოუერთდა. რაზმის ერთმა ნაწილმა გვარდიის აფიცერ კვალიაშვილის ხელმძღვანელობით ტყვეთ ჩაიგდო უცხო ოსი, რომელიც ჩვენ გვარდიელებს ეძახოდა:

— ნუ სროლილობთ, მე თქვენი „კამანდირი“ ვარო.

დაჭერილი ოსი აღმოჩნდა ზემო აღნიშნული კავკაველი. ის გამოტყდა და სხვათა შორის შემდეგი განმარტება მოგვცა: მე ცნობილი კომუნისტი ვარ. სოფ. კადგერონის მცხოვრები თერგის მხარედან, მხოლოდ დიდი ხანია, რაც თფილისში ვიმყოფები. თფილისიდან მე წამოვედი, როგორც ოსეთში ცნობილი და ოსურათ კარგი მოლაპარაკე განსაზღვრული ინსტრუქციით. მე უნდა მომემზადებია აჯანყებისათვის უჯარეთის ხეობის, ქარელის და ხაშურის ოსები. პირველად უჯარეთში მივედი, ყრილობები მოვიწვიე, ხალხმა მიიღო ჩემი წინადადება. იქ უმთავრესათ მდიდარი ხალხია და მომეხრენ. შემდეგ გადმოვიარე ქარელის რაიონში, აქ შემიერთდა, თუმცა ყაჩაღები, მაგრამ რაზმით ფსხიკიძე ლომიძე და სხვები.

კავკასიის კომუნ. რევოლ. სამხედრო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა 24 ოქტომბრისათვის საქართველოში საერთო გამოსვლები რესპუბლიკის მთავრობის ჩამოსაგდებათ, მაგრამ შემდეგ ცნობა მივიღე თფილისიდან, რომ შეიარაღებული გამოსვლები გადადებულია რვა დღით და ჩვენ, თანახმათ ცნობისა, 9 ნოემბერს, შევუდექით გამოსვლებს. 13 ნოემბერს ღამე უნდა აგვეღო ხაშური. აქედან ჩვენ წავიდოდით ხაშურისაკენ, იქიდან ლომიძე თავის რაზმით. ჩვენი მიზანი გახლდა საერთო შეიარაღებული გამოსვლები. შეკითხვაზე —იცნობს თუ არა გ. შახნაზაროვს, გვიპასუხა:—შახნაზაროვი თფილისში ჩვენთან დადიოდა. მეც ვიყავი მეჯვრისხევში შახნაზაროვთან.

მან დაასახელა ისეთი პირები ქართლში, რომლებიც ზოგი ძველი ყოფილი „ურიადნიკებია“, ვაჭრები და სხვები. მოგვითხრო სხვადასხვა...

3 საათზე, ცხენოსან გვარდიელებს შემოუერთდა ქვეითი რაზმი. რაზმის ხელმძღვანელმა ვ. მიქაძემ შემდეგი ცნობები გადმოგვცა: მათ გამოიარეს სოფლები, გზაში კრებებს მართავდენ. დ. მაჭავარიანი და ის ხალხს უხსნიდა თანამედროვე მდგომარეობას. საღამოს რაზმი ავიდა მიწოფის მთაზე. მიწოფის მთიდან „ბანდები“ შეეცადენ ზურგიდან მოვლას, მაგრამ ამაოდ.

დილით მაღლობებში ხცისის მახლობლად რაზმს სროლა ჰქონდა. მთებიდან „ბანდიტები“ ჩვენს რაზმელებს უძახდნენ:—„ქართველებო, დაგვნებდით, დაგვნებდითო“! სროლის დროს გვარდიელებმა მოჰკლეს 6 ბანდიტი და რამოდენიმე ოსი დაატყვევეს. გვარდიის მხრივ ზარალი არ ყოფილა, მხოლოდ 12 საათზე დასჭრეს გვარდიელი გაბრიელ არხოზაშვილი თხინლარის გვერდით.

საღამოს ხაშურიდან ცნობა მივიღეთ, რომ იქ დაუჭერიათ კომუნისტების დიდძალი ფურცლები. ხცისში ხალხის ყრილობა 4 საათზე გაიმართა, რაზმის უფროსმა გ. ხიმშიაშვილმა ყრილობას შემდეგი სიტყვებით მიმართა:

ჩვენ მოვედით აქ ყაჩაღების და ავაზაკების წინააღმდეგ და ხალხის განსანთავისუფლებლად. საქართველოს რესპუბლიკის გვარდია და ჯარი, რომელიც იცავს ჩვენს ქვეყანას და ხალხის უფლებას, არავის ნებას არ მისცემს, რომ თავისი ავაზაკური მოქმედებით საქართველოს ხალხის თავისუფლება დალუპოს. ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას, რომ მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში არ ჩაერიოს. ქვეყნის წინაშე არავინ ღალატი არ გასწიოს, თორემ სასტიკათ დაისჯებიანო

ღამდებოდა, როცა ცხენოსანი გვარდიის ნაწილებმა სოფლის ხევები გუდა, ლალეთი, კირის ხევი დაიჭირა და გაქცეულთა დევნა განაგრძო. ღამის 7 საათამდე ხცისის ხეობაში, ბრძოლის დროს დატყვევებულთა რიცხვი 69 მდე ავიდა.

ღამე სიწყნარე იყო. არსით სროლა აღარ ისმოდა, მხოლოდ ძლიერი ცივი ქარი და წვიმა იყო.

——

15 ნოემბერი.

განთენებისას ცნობა მივიღეთ, რომ ატენის მიმართულებით გვარდიელებს და მილიციონერთ შეტაკება ჰქონდათ ბანდიტებთანო. ყაჩაღებიდან დაჭრილია ჩიხლაძე (რწმუნ.) ერთი მილიციონერი, „ბანდიტებმა“ ბრძოლაში ის ველზე დატოვეს. დასტოვეს აგრეთვე 30 ცხენი, 54 ვინტოვკა 14 მოკლული და გარბიან. გვარდია მისდევს გაქცეულთ.

9 საათზე კირისხევში იყო ჩვენი ცხენოსანი გვარდია. ხეობები სრულიად დაცლილია. სოფლებში სიწყნარეა. რაზმის უფროსმა გ. ხიმშიაშვილმა კირის ხევის ოსებს გამოუცხადა: ჩვენთვის სულ ერთია ოსი, ქართველი და სხვა. საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებთათვის კანონი ერთგვარია და სამართლის წინაშე ყველა პასუხს აგებს ვინც დამნაშავეა. მაშ თქვენი ვალია შრომა და მშვიდობიანი ცხოვრებაო.

აღმოჩნდა, რომ კირის ხევის მიმართულებით ყაჩაღები და ბანდიტები გაქცეულია ღამით გორები ცხენოსანმა გვარდიელებმა დაიჭირეს.

ჩვენ გზა განვაგრძეთ.

დღე ცივი იყო, წვიმდა და ცივი ქარი ჰქროდა.

ხაშურიდან შუადღეზე ცნობა მივიღეთ, რომ ხაშურთან მოახლოვებულ „ბანდიტებში“ განხეთქილება მოხდა, განხეთქილება გამოიწვია იმ ამბებმა, რომ ზოგიერთ ადგილას მოხდა ყაჩაღთა მოძრაობის ლიკვიდაცია. ხაშურთან მოახლოვებულებმა, რაკი გაიგეს, რომ მოატყუეს იმინი მეთაურებმა, რომ ვითომც გვარდია და ჯარი მათ მხარეზეა, მაშინვე შიგნით გაიმართა ბრძოლა. მათ მოჰკლეს მეთარი ყაჩაღი არსენა ლომიძე, მისი ამხანაგები ორი: ერთი გ. ბეკოშვილი და მეორე უცნობი. ბრბო გაიფანტა მეთაურათ ასახელებენ გ. გულიაშვილს.

ეს ხმები გამართლდა.

ქვეშხეთიდან ცნობები მივიღეთ, რომ გვარდიელებმა დაატყვევეს ჯგუფი ავაზაკებისა, რომელთაც მიზნათ ჰქონდათ დასახული რკინის გზის დარაჯთა დახოცვა და გზების გადაჭრა.

ისინი გამოტეხილან დანაშაულში. ყველაფერი უიქვამთ. საღამოს რაიონში საერთო სიწყნარე იყო. ხალხი აღფრთოვანებულია, რომ განთავისუფლდა მოძალადეებისაგან. ყველგან საუბარი, ყრილობები იმართებოდა.

**ობოლი მგზავრი.**

## მუშათა შორის

**ბაქოს მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრება.** ბაქოს მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში პირდაპირ აუტანელია. მათ ერთის დაკვრით მოინდომეს სოციალიზმის დამყარება, მაგრამ, დახეთ უბედობას, ძველი ბატონყმური პირობები მოიმკეს. ეს ის პროლეტარიატია, რომელიც მუდამ რევოლიუციის ავანგარდი და ამიერ-კავკასიის მუშათა სიამაყე იყო. დღეს კი თამამათ შეიძლება ითქვას, ლუკმა პურისათვის არც ერთ ამიერ-კავკასიის მუშა მოსამსახურეებს ისეთ პირობებში არ უხდება მუშაობა, როგორც ბაქოს პროლეტარიატს. მათ ბედ-იღბალს ამ ჟამათ ბაქოს ბურჟუაზია განაგებს. პროფესიონალური კავშირების არსებობა ამ ჟამათ ბაქოში თითქმის ფიქტიურია. ვინაიდან დამქირავებლები მუშა მოსამსახურეებს პროფ. კავშირებიდან აღარ ღებულობენ და ასე ამ რიგათ მათი დათხოვნა მიღება თვით დამქირავებლების ნება სურვილზეა დამოკიდებული. ამ ჟამათ ბაქოს თავ აშვებული ხაზეინები, სრულიად უდანაშაულოთ დღითი-დღე ქუჩაში ისტუმრებენ მუშათა ინტერესების დამცველს და პროფ. კავშირებში მუშაობის მოსიყვარულე ამხანაგებს. მათ ალაგს კი, ჯოჯოხეთის მოციქული შტრეიკბრეხერები იჭერენ, რომელთა მოღალატური მოღვაწეობა მუშათა კლასს არასოდეს არ დაავიწყდება და დღეს თუ ხვალ შესაფერ პასუხსაც მოსთხოვს. ეს სასტიკი დამარცხება ბაქოს პროლეტარიატის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი გაფიცვის შემდეგ ითქმის. და თუ მომავალშიაც ცოტა კიდევ გაგრძელდა ბაქოს მუშა მოსამსახურეთა ასეთი მდგომარეობა, იმ შემთხვევაში ცხადია, ისინი სავსებით დაჰკარგავენ დიდხნის თავგანწირული ბრძოლით მოპოებულ უფლებებს და შემდეგ კი, არც ისე ადვილი საქმე იქნება მათი უფლებების აღდგენა.

ეს კარგათ უნდა იცოდეს ბაქოს პროლეტარიატმა. ამიტომ დაჩქარებით გადამწყვეტი და უფრო მიზანშეწონილი ბრძოლა აწარმოვოს თავიანთი პირობების გაუმჯობესებლათ.

დროა ბაქოს მუშა მოსამსახურეები მიხვდნენ, რომ მათ ამ ჟამათ ბოლშევიკური დემაგოგიით გაბრუებულთა მიმდევრობა დაღუპვის მეტს არას უქადის. ამიტომ საჭიროა მათი მოძრაობის გეგმა-პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკას მუშა მოსამსახურეების გეგმა პოლიტიკასთან შეთანხმება დაკავშირება.

აი, ერთად ერთი გზა, რომელიც იხსნის ბაქოს პროლეტარიატს მონობასა და ერთი მუჭა ბურჟუაზიის წვეტიანი კლანჭებისაგან. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ბაქოს პროლეტარიატი შესძლებს შავის თეთრისაგან გარჩევას, ერთხელ და სამუდამოთ დაგმობს იმ დამღუპველ პოლიტიკას, რომლის მეოხებით ისინი ასეთ პირობებში ჩავარდენ.

**თეოფანე ზემო-აკეთელი.**

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 20 ნოემბერს, ამხ. გ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდ 6; 2) მოხსენება საფინანსო კომისიისა; 3) ვალების გასწორება; 4) საზოგადო კრების მოწვევა; 5) მოხსენება დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციიდან.

პირველი კითხვას შესახებ თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ივ. ავაქოვი, ის დაწვრილებით აცნობს სხდომას თფილისის კომიტეტის უკანასკნელ დღეების მუშაობას და თფილისის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული სხდომის მნიშვნელოვან დადგენილებებს. ამხ. ი. ავაქოვის მოხსენებიდან სხდომა ყოფს განსახილველათ კითხვას, პარტიის სასარგებლოდ ერთდროული გადასახადების შესახებ აზრთა გაცვლა გამოკვლის შემდეგ თანასწორ ხმას ღებულობს ორი წინ დადებას: 1) პარტიის სასარგებლოდ გადახდილ იქნას წევრთა მიერ ქალაქში მინიმუმი 10 მ სოფლად 5 მ. და 2) არ იქნას განსაზღვრული გადასახადის მინიმუმი. მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს მდივანი, რომელიც ამცნობს კრებას 16 ნოემბერს გამართულ დილის ნავარაუდევ შემოსავალს, რომელიც უდრის თხუთმეტ ათას მან. გასავალი კი ექვსი ათას, რჩება დაახლოვებით ცხრა ათასი მ. დაწვრილებით ანგარიშის წარმოდგენა ევალება მდივანს მორიგ სხდომაზე. მესამე კითხვის შესახებ სხდომა საჭიროთ სცნობს ეხლავე გასწორებულ იქნას საჩქარო ვალები, რის გასასწორებლად სდებს საჭირო თანხას. მეოთხე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს საზოგადო კრება მოწვეულ იქნას შაბათს, 22 ნოემბერს, სალ. 6 საათზე, მომხსენებლად მოწვეულ იქნას ამხ ნ. რამიშვილი. მეხუთე კითხვის შესახებ დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის უკანასკნელი დღეების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მახვილაძე. მოხსენების მოსმენის შემდეგ არის შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევს. დასასრულ სხდომა ისმენს ამხანაგ ბერეჟიანის (გამრთობის—ბის გამგეობიდან), ი. ავაქოვის, ჩ. თხილაძის და კალანდარიშვილის განცხადებებს სხვადასხვა წვრილმან საკითხებზე და იხურება. **მდივანი.**

## პროვინცია

**ჯავახეთში.** არაფერი არ აწუხებს ეხლა ჯავახეთს ისე, როგორც ყაჩაღობა ბაკურიანის უღელტეხილზე. ამ ადგილზე ყაჩაღობამ იჩინა თავი გასულ ზაფხულში და ამ შემოდგომაზე დიდათ განვითარდა. სცარცვავენ ყველას განურჩევლათ; სცარცვენ მთელ ურმების ქარავანებს; მიაქვთ ყველაფერი: ტანისამოსი, ფული, ურმიდან ხარებს ხსნიან და ასე უშწარებენ დღეს ისედაც დარბეულს ჯავახეთის გლეხობას.

აუარებელი მგზავრი დადის ამ გზით, რადგანაც ახალქალაქიდან ბაკურიანით ბორჯომამდე მეტათ მოკლეთ იჭრება, ვიდრე ახალციხეზე. ამიტომ ამ გზის ყაჩაღებისაგან შეკვრამ პირდაპირ ყელში წაუჭირა ჯავახელებს და წაართვა საშუალება დროით მოეტანა ზამთრის სარჩო შიგნით საქართველოდან. უკანასკნელ დროს დახოცეს ძმები კვინაძეები და ერთი მილიციონერი. ჯავახეთის სამაზრო კომისარმა, მილიციის უფროსმა და აგრეთვე ამავე მაზრის ადმინისტრაციის ინსპექტორმა ნ. რამიშვილმა ბევრი იმტვრიეს თავი ამაზე, მაგრამ დღემდე არაფერი გამოვიდა. საქმე იმაშია, რომ ბაკურიანის ის ადგილი, სადაც ხდება ასეთი ცარცვა, შედის გორის მაზრაში და ბორჯომის სათემო რაიონს წარმოადგენს. ჯავახეთის მილიციას არც ერთხელ არ მისცეს ნება, შესვლისა ამ ადგილში, რომ თავისი ძალებით მაინც გაეწმინდა ის ყაჩაღებისაგან, რადგანაც არც გორის სამაზრო ერობა და მილიცია და აგრეთვე არც ბორჯომის რაიონის თემი და მილიცია დღემდე არავითარ ზომებს არ ღებულობდა. დეპეშებს დეპეშებზე უგზავნიდენ გორის მაზრის ადმინისტრაციას, მაგრამ პასუხსაც არ აძლევდნენ თურმე ჯავახეთის ადმინისტრაციას. უკანასკნელ დროს ახლად დანიშნულმა ჯავახეთის სამაზრო კომისარმა გ. გველესიანმა სამინისტროს მოახსენა ეს ამბავი, რის შემდეგაც უკვე ყოფილა მოლაპარაკება გორის სამაზრო კომისართან. ეს უკანასკნელი შეპირებია ჯავახეთის მაზრის კომისარს ასვლას და ზომების საერთოთ გამომუშავებას, მარგამ, სამწუხაროთ, შეპირება არ შეუსრულებია. ეხლა ჯავახეთის კომისარს გველესიანს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შუამდგომლობა აღუძრავს, მისცენ მას ნება შევიდეს თავის მილიციით აღნიშნულ რაიონში და გასწმინდოს ყაჩაღებისაგან.

ეხლახან ბარალეთის რაიონის მილიციამ დაატუსაღა სამი ოსი, ერთს მათგანს აღმოაჩნდა განაცარცვი შინელი, წანართმევი ბაკურიანის გზაზე. ეს შინელი გაცარცულმა ადგილობრივმა გლეხმა იცნო. 2 დანარჩენი ოსებიც იცნეს მათგან გაცარცულმა გლეხებმა.

ბოგდანოვკის რაიონში ადგილობრივმა მილიციამ მოიმწყვდია თათრების სოფელ საღამოში 4 ყაჩაღი, რომელთაც ის ის იყო გაეცარცვათ გლეხები და წაერთმიათ ხარები. მთელი ღამის სროლის შემდეგ მოკლული აღმოჩნდა ერთი მილიციონერი, რომელიც ძლიერ ახლო მისულიყო იმ სახლთან, ისროდენ ჩასაფრებული ყაჩაღები და მძიმეთ დაჭრილიყვენ ორი ყაჩაღი, რის შემდეგ ისინი მილიციას დანებდენ. დატყვევებულ ყაჩაღთა შორის აღმოჩნდა 25 წლის ცნობილი განთქმული ყაჩაღი სამადია. ოთხივე ბორჩალოელები არიან დაჭრილები მაშინვე ციხის საავადმყოფოში გაგზავნეს, ხოლო სამადიას და მის ამხანაგს ციხესთან გაქცევა მოუწადინიათ და იქვე დაუხოცნიათ გაქცევის დროს. სხვათა შორის, სამადიას აღმოჩენია ერთი ოსმალური ვინტოვკა რომელიც სჭერია იმ მილიციონერს რომელიც მოკლეს ბაკურიანის გზაზე კიკნაძეებთან ერთად

საერთო მდგომარეობა ჯავახეთისა იმაზე უკეთესია, ვიდრე ზაფხულში იყო. შიმშილის სიმწვავე განელებულია, რადგანაც მცხოვრებნი საკმაოდ ღებულობენ ამერიკულ თეთრ ფქვილსა და სიმინდს. სულიერი განწყობილება ხალხისა მომავლის იმედით მაღლა აწეულია და მადლიერი არიან ჩვენი მთავრობისა. ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები დიდს იმედებს ამყარებენ ჯავახეთზე. ყოველნაირათ ცდილობდენ მშიერი ხალხის აღელვებას და ანარქიის გამოწვევას. მაგრამ დღეს ისინიც კი დარწმუნდენ იმაში, რომ მათ ჩამოუვარდათ სამუდამოთ იმედის ფრთები. დიდი იმედი ჰქონდათ ახალგაზრდების ჯარში გაწვევის დროს, რომ მოხდებოდა არეულობა, მაგრამ არსად ისე მშვიდობიანათ არ ჩაუვლია ჯარში გაწვევას, როგორც ეხლა ჯავახეთში მოხდა. არავის არ აქვს მეტრიკული მოწმობები და არც იციან ვინ რამდენი წლისაა, მიუხედავათ ამისა, არავითარი არევ დარევა და უკმაყოფილება არ ყოფილა გაწვეულებში. გამოცხადდა ყველა, ვინც კი შეხედულობით ახალგაზრდა იყო. აღსანიშნავია, რომ სომხურ სოფლებიდან უფრო ადრე გამოცხადდენ.

ჯავახეთში უკვე ნამდვილი ზამთრის სიცივეები დადგა. ახალქალაქის გარშემო ახლო მდებარე გორებზე უკვე ჩამოსთოვა და სამწუხაროდ შუა ჯერაც არა აქვთ დაწესებულებებს ან კი რითი იყიდიან, როცა ჯამაგირებს ვერ ღებულობენ. კრედიტი მათთვის ჯერაც არ არის გახსნილი.

**მოხეტიალე რაჭველი.**

——

**მანავი (გარე კახეთი).** 16 ნოემბერს აქ შესდგა მრავალრიცხოვანი ყრილობა, რომელზედაც მიმდინარე მომენტის შესახებ მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საბაშვილმა. ორატორმა მოუწოდა გლეხობას გვერდში ამოუდგენ ქალაქის მუშებს და მათთან ერთად დაიცვან საქართველოს რესპუბლიკა და მისი თავისუფლება. ყრილობა ერთხმათ ადგენს მხარი დაუჭირონ საქართველოს მთავრობას და ხალხის უზენაეს ნება სურვილის გამომხატველ დამფუძნებელ კრებას. ყრილობის დასასრულს შესდგა სოც. დემოკრატიულ პარტიის თანამგრძნობთა კრება. დაადგინეს დაარსდეს ადგილობრივათ ს. დ. ორგანიზაცია, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

**რ. დუჩიძე.**

## განცხადებანი

ამა წლის 28—29 ოქტომბერს ქუთაისსა და შორაპნის სადგურს შორის

დაიკარგა

მეშის საფულე, რომელშიაც იყო 50 მ. ხურდა ფული, პასპორტი № 10, მოწმობები საქონლის ნაყიდობის და ქიათურის კოოპერატივის პაის მოწ. მპოვნელს ვსთხოვ გადმომცეს საბუთები პერევისის საზ. კომისარიატში, ხოლო ფული თვითონ დაიტოვოს.

(კუპ. 561—1—1) კ. მ. ცხადაძე.

სახელმწიფო მამული „სკრა“
ნამყენი ხეხილი მაჟალო და თესლეულობა
მოითხოვეთ კატალოგი
სად. სკრა—გორის მაზრა.
(2906—10—9)

1919 წლის 1 მაისს დაიკარგა

სოფელ ბილას (შორაპნის მაზრა) მცხოვრები მიხეილ ქაიხოსროს ძე ბაქრაძე. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ქალაქ ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა, ფოტოგრაფ დ. აბაშიძის სახელზე.

(ფ. 1—1) ხ. ბაქრაძე.

სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.
ვ. ხანაძე 9—12 შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და ს.ბებიო.
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განუუმოვი 11—12. ქალთა საბებ. „606“ და „914“ ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი ვ. გ. ხანაძე.
((2937—თ.)

იყიდება
წინდების საქსოვი მანქანები
გრძელი და რგვალი საუკეთესო სისტემისა. მალაკანის ქ. № 44
(3040 2—1)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28.
(თ. 3065)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტის მ. ს. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 13, ტელეფონი 7—92.

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ხემელის აფთიაქის ახლოს).
(2785—თ.)

ექიმი ნ. დ. ბუხრიაშვილი
იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ყოველ დღე დილის 11—1 და სალ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12.
(თ.—3028)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი არუთინოვი.
დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606“ და „914“ შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

ექიმი იმ. ბოკერია
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და სააკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95.
(თ. 2744)

ვაგზლის-კერძო-სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საოკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.
(2930—თ.)

ექიმი კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი ა. ლივშინშტეინი
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი დ. მ. ჯაგახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ოზურგეთში
ექიმი ხ. ვ. აბაშიძე
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაკოლიდ“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაიშვილი სახლში.

ექიმი მ. ა. ზაზრაძე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი ჩ. ბ. [illegible]-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ძველი რეზინი (შინები და კამერები)
იყიდება ქალაქთა კავშირის სახელოსნოებში
(ოლღის ქ № 29) ნახვა შეიძლება დილის 12—1 საათ. კვირა უქმეების გარდა. განცხადება უნდა შეიტანონ ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში. (ნ. 2—1)

ალ. არაბიძის და ამხანაგობის
წიგნების გამომცემლობამ გახსნა თფილისში
წიგნების საწყობი
მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა, ყოფილი სათავად აზნაურო ქარვასლა, ეზოში, მარჯვნივ, № 25. (ნ. 1—1)

ვისაც სურვილი აქვს გაყიდოს ან იყიდოს
სახლი
მამული, აგარაკი, ხახლის ძვირფასი მოწყობილობა, საუკეთესო ნოხები და სხ. მიმართონ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელსაც ჰყავთ თანხიანი მყიდველები და აგრეთვე აქვთ ასარჩევი სახლები და სხვ. უძრავი ქონება. ადრესი დავითის ქ. № 3, ბინა 2, ტელეფონი 2—28, დილის 11—2 და სალ. 5—7 საათ. (3077—1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
მთავარ სამმართველო
ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხულით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბებიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—8)